ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ ბათუმის N25 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები:

თეა ტაბატაძე

ნანა გიორგობიანი

ბექა კვაჭაძე

ნათია ქათამაძე

მაკა გიორგბერიძე

ელიზა კუკავა

ირინე ჯანაშია

ნანი სალია

ქეთევან ქობალია

ნატო ხაჭაპურიძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248385965

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბათუმი
იურიდიული მისამართი	ფრიდონ ხალვაშის გამზირი 102 ა
ფაქტობრივი მისამართი	ფრიდონ ხალვაშის გამზირი 102 ა
საფოსტო ინდექსი	6010
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლას არ აქვს ვებგვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Batumi25@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577304244 579909030

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	#544827; 16/05/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	19-20.06.2023

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი	დაწყებითი	ქართული	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი 102 ა
2	ზოგადსაგანმანათლებლო საბაზო	საბაზო	ქართული	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი 102 ა
3	ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო	საშუალო	ქართული	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი 102 ა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 მაისის #544827 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეფასების პროცესი განვახორციელეთ ვიზიტი სსიპ ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლაში მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი 102 ა, ა.წ . 19 და 20 ივნისს. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან: ნაწილი დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა ადგილზე მატერიალური სახით, ნაწილი კი ელექტრონული სახით. ვიზიტისას შეფასდა ოთხივე სტანდარტი ,მათ შორის მეორე სტანდარტი თითოეული საფეხურისთვის.

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული გათვალისიწნებულ იქნა საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისას.

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 1798	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 1798 მოსწავლე. ამ ეტაპზე ქალაქ ბათუმის 25-ე საჯარო სკოლაში სწავლობს 1200-ზე მეტი მოსწავლე ორ ცვლაში. 27 საკლასო ოთახში განლაგებულია სულ 800 ინდივიდუალური მერხი და სკამი, რისი ფლობაც დასტურდება დოკუმენტაციითაც. შესაბამისად, სკოლამ შეიძლება მიიღოს 1600 მოსწავლე ორ ცვლაში. ისე რომ ცვლაში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატებოდეს 800 მოსწავლეს.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფს სრულ და მეტწილ შესაბამისად არ შეუფასებია არცერთი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(30/06/2023-04/09/2023) უზრუნველყოს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული გეგმის შემუშავება.*
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(04/09/2023-08/09/2023) უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N 3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (10/08/2023-22/08/2023) უზრუნველყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკურსის ჩატარების წესის შემუშავება.*
ინდიკატორი N 3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;*	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (10/08/2023-22/08/2023) უზრუნველყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება.*
ინდიკატორი N 3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(02/10/2023-30/10/2023) უზრუნველყოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი მექანიზმის შემუშავება.*
ინდიკატორი N 3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (25/01/2024-20/03/2024) უზრუნველყოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტის შემუშავება.*

ინდიკატორი N 3.3.1.3	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (17/09/2023-04/10/2023)უზრუნველყოს საჩივრების განხილვის სისტემის შემუშავება.*
ინდიკატორი N 3.3.1.4	სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (15/08/2023-28/09/2023) უზრუნველყოს სკოლის პერსონალის და მოსწავლეთა უფლებების დაცვის შიდა მექანიზმების შემუშავება.*
ინდიკატორი N 3.3.2.1	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (02/10/2023-30/10/2023) უზრუნველყოს სკოლაში მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება.*
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (19/06/2023-15/06/2024) უზრუნველყოს:* ➢ *უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება;* ➢ *შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება;* ➢ *შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.*
ინდიკატორი N 3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/11/2023-30/11/2023) უზრუნველყოს სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის შემუშავება.*
ინდიკატორი N 3.4.1.6	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში*

		(01/11/2023-30/11/2023) უზრუნველყოს სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმების შემუშავება.
ინდიკატორი N3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/11/2023-30/11/2023) უზრუნველყოს მატერიალური რესურსის განკარგვის წესის შემუშავება.*
ინდიკატორი N3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (10/08/2023-15/06/2024) უზრუნველყოს ადაპტირებული საპირფარეშოების მოწყობა.*
ინდიკატორი N3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (17/07/2023-30/11/2023) უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა.*
ინდიკატორი N3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (17/07/2023-30/11/2023)უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.*
ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (17/07/2023-30/11/2023) უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.*

	გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N 2.2.1.4	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს საგნობრივი პროგრამის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.*
ინდიკატორი N 2.2.1.5	სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს საგნობრივი პროგრამის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.*
ინდიკატორი N 2.2.2.3	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს შეფასების სისტემის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.*
ინდიკატორი N 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(30/09/2023-25/12/2023) უზრუნველყოს ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.*
ინდიკატორი N 2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023)უზრუნველყოს შეფასების ინსტრუმენტების ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N 2.2.1.4	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს საგნობრივი პროგრამის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.*
ინდიკატორი N 2.2.1.5	სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს საგნობრივი პროგრამის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.*
ინდიკატორი N 2.2.2.3	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს შეფასების სისტემის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.*
ინდიკატორი N 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(30/09/2023-25/12/2023) უზრუნველყოს ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.*
ინდიკატორი N 2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023)უზრუნველყოს შეფასების ინსტრუმენტების ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N 2.2.1.4	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-*

		17/09/2023) უზრუნველყოს საგნობრივი პროგრამის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.
ინდიკატორი N 2.2.1.5	სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს საგნობრივი პროგრამის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.*
ინდიკატორი N 2.2.2.3	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს შეფასების სისტემის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.*
ინდიკატორი N 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(30/09/2023-25/12/2023) უზრუნველყოს ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.*
ინდიკატორი N 2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023)უზრუნველყოს შეფასების ინსტრუმენტების ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	*ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში გაწეროს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმი მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება/რევიზირების პროცესში და იხელმძღვანელოს მექანიზმის შესაბამისად.*

ინდიკატორი N1.1.1.5	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;*	*ექსპერტთა რჩევაა, მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდეს ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას ადვილად შესამჩნევი ფორმატით.*
ინდიკატორი N1.2.2.3	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;	*ექსპერტთა რჩევაა დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწეროს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობის მექანიზმი.*
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	*ექსპერტთა რჩევაა, მეთოდოლოგიურ დოკუმენტში გაიწეროს სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხი და იგი დაეფუძნოს სკოლის სტრატეგიულ გეგმასა და ყოველწლიურ თვითშეფასებას.*
ინდიკატორი N1.2.2.4	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.	*ექსპერტთა რჩევაა დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწეროს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი .*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	*ექსპერტთა რჩევაა, გაიწეროს ფუნქციები საშტატო და არასაშტატო განრიგით განსაზღვრული ყველა თანამდებობისთვის.*
ინდიკატორი ***N3.2.1.2***	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	*ექსპერტთა რჩევაა, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განისაზღვროს შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე პერსონალის განვითარების გეგმის შედგენა.*
ინდიკატორი N3.2.1.3.	სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;	*გაიწეროს პერსონალის კარიერულ ზრდის შიდა მექანიზმები და პროცედურები.*

ინდიკატორი N 3.2.1.4	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;	*ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ შეიმუშაოს თანამშრომელთა ინტეგრაციის წესი.*
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	*ექსპერტთა რჩევაა დაწესებულებამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას. ასევე უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის სამედიცინო პერსონალი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების რეკომენდაციის შესაბამისად.*
ინდიკატორი N3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;	*შეიმუშავონ როგორც სართულების ისე სველი წერტილების დალაგება-დასუფთავების გრაფიკი და პროცედურები.*
ინდიკატორი N3.6.2.3	სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;	*ექსპერტთა რჩევაა, განახლდეს სკოლის ბაზაში დაწესებულების მისამართი საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N4.2.1.2	სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;	*გაიწეროს ტრანზაციის ზოგადი პროცედურები სხვადასხვა შემთხვევებისთვის და გამოიყოს პასუხისმგებელი პირი.*
ინდიკატორი N.4.2.1.6	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.	*ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ შეიმუშაოს მოსწავლეთა და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების მექანიზმი.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო**	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	*საგან "ჩვენი საქართველოს" ფარგლებში შექმნილ საგნობრივ პროგრამაში გასწორდეს ხარვეზები, სწორად ფორმულირდეს სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.*
ინდიკატორი N 2.2.2.6	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.	*ექსპერტთა რჩევაა, ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებისას მტკიცებულებების შენახვის ვადად გაიწეროს არანაკლებ 3 წელი.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო**	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.2.2.6	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.	*ექსპერტთა რჩევაა, ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებისას მტკიცებულებების შენახვის ვადად გაიწეროს არანაკლებ 3 წელი.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო**	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.2.2.6	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.	*ექსპერტთა რჩევაა, ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებისას მტკიცებულებების შენახვის ვადად გაიწეროს არანაკლებ 3 წელი.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ კონკრეტული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გამოყოფილ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ექსპერტთა შეფასება შეიცვალა შემდეგ ხარვეზებთან მიმართებით:

1.2.1.2 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას).

1.2.1.4 ინდიკატორი - სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, არც შესრულების გაზომვადი ინდიკატორებია მითითებული და არც შესაბამისი რესურსები

3.1.2.3 ინდიკატორი - დაწესებულებას არ აქვს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა წინასწარ შემუშავებული, კერძოდ არ არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და არც საკონკურსო წესი არ არის დამტკიცებული.

3.1.2.4 ინდიკატორი - დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული პოზიციისთვის.

3.3.1.1 ინდიკატორი - სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ვერ განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რადგან არ არის შემუშავებული შესაბამისი მექანიზმი

3.3.1.2 ინდიკატორი - დაწესებულებაში არ არის იდენტიფიცირებული და აღწერილი სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

"3.3.1.3 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს შემუშავებული საჩივრების განხილვის სისტემა.
"

3.3.1.4 ინდიკატორი - დაწესებულებას, სკოლას არ აქვს შემუშავებული პერსონალის და მოსწავლეთა უფლებების დაცვის შიდა მექანიზმები.

3.3.2.1 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

"3.4.1.1 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს:

1. უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

2. დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ;
3. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ);

3.4.1.5 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს შემუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი.
3.4.1.6 ინდიკატორი - სკოლას არ გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები.
3.5.1.2 ინდიკატორი - არ არსებობს მატერიალური რესურსის განკარგვის წესი.
3.5.1.3 ინდიკატორი - დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული საპირფარეშო. შესაბამისად, სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.
"3.6.3.1 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს ვებგვერდი.
3.6.3.4 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს ვებგვერდი.
"3.6.3.5 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს ვებგვერდი. შესაბამისად არ არის განთავსებული ინფორმაცია ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.
მეორე სტანდარტთან მიმართებით სამივე საფეხურზე:
2.2.1.4 ინდიკატორი - სასწავლო პროცესი არ არის ორიენტირებული ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).რადგან არ არის წარმოდგენილი საგნობრივი პროგრამის დანართები, რომელშიც ზუსტად ჩაიშლებოდა და გამოჩნდებოდა როგორ ხდება ცოდნის კონსტრუირება ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.
2.2.1.5 ინდიკატორი - სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი არ არის მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
"2.2.2.3 ინდიკატორი - შეფასების სისტემა ორიენტირებული არ არის მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

2.2.2.5 ინდიკატორი - სკოლაში არ ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.
"2.3.2.3 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები.
აღნიშნულ ხარვეზებთან მიმართებით შეიცვალა შეფასება და შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ასევე წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებები, რომელიც გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე და ექსპერტთა შეფასება შეიცვალა შემდეგ ხარვეზებთან მიმართებით:

"1.2.1.1 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოებისის პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.
"1.2.2.1 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.
3.1.1.1. ინდიკატორი - დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული სტრუქტურა და ფუნქცია-მოვალეობები. შესაბამისად, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული.
"3.1.2.2 ინდიკატორი - დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,სადაც გამოიკვეთება პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვა.
3.2.1.1 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს შემუშავებული პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.
3.6.2.1 ინდიკატორი - სკოლის საქმისწარმოების წესი არ არის კანონმდებლობის შესაბამისი, კერძოდ, თანხვედრაში არ არის ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 17 აგვისტოს N951 ბრძანებასთან.

4.1.2.1 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს განსაზღვრული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
4.1.2.2 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს შემუშავებული მექანიზმები მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ.
ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წამოდგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებები, გაანალიზდა სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით და **აღნიშნული ინდიკატორები შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.**

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა რომელშიც დეკლარირებულია სკოლის მისია - „აღზარდოს თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნება, რომელსაც ექნება განვითარებული გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები,დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება და პასუხისმგებლობა ოჯახის ,საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.“ აღნიშნული მისია და სკოლის ხედვა „თითოეული მოსწავლე აღჭურვოს საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევებით, რათა ჩამოყალიბდეს სოციუმის სრულფასოვან წევრად“ შეეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. თუმცა დაწესებულებას თვითშეფასების განაცხადში დაგეგმილი აქვს სკოლის მისიისა და ხედვის გადამუშავება. დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას განმარტეს, რომ სურვილი აქვთ სკოლის მისია იყოს უფრო კონკრეტული, რაც უშუალოდ სკოლის საქმიანობას გაუსვამს ხაზს. კერძოდ, სკოლის პრიორიტეტია არაფორმალური განათლების გაძლიერება და პრაქტიკულ საქმიანობაზე დაფუძნებული სწავლება. ამ მიმართულებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, სკოლამ წარმოადგინა გეგმა გრაფიკი, რომლის მიხედვითაც სექტემბერში მისიას და ხედვას ექნება საბოლოო სახე. თუმცა ექსპერტთა მიერ მხედველობაში იქნა უკვე არსებული მისია და ხედვა. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.**
2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიითა და ხედვით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოება მოიაზრებს სკოლას ისეთ სივრცედ, სადაც აღიზრდება ზოგადსაკაცობრიო ღირებეულებების მატარებელი მოქალაქე, რომელსაც გააზრებული ექნება თავისი როლი და პასუხისმგებლობა საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე. დაწესებულება თავისი ხედვით მიზნად ისახავს

ისეთი მოქალაქეების აღზრდას, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან იმ უნარ-ჩვევებით, რაც მათ დაეხმარება საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებაში. აღნიშნული მისიით და ხედვით სკოლა პირდაპირ აცხადებს, რომ იგი სააღმზრდელო დაწესებულებაა, რომელიც ქმნის და აყალიბებს უსაფრთხო გარემოს, რომელიც ხელსაყრელია მოსწავლეთა განვითარებისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.**

3. ექსპერტთა ვიზიტისას გამოთხოვილი იქნა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი. ინტერვიურებისას სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ადრე არ იყო მსგავსი მოთხოვნა და როცა სკოლა ქმნიდა აღნიშნულ დოკუმენტს არ შეკრებილა შემუშავების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. თუმცა სასკოლო საზოგადოების მცირე ჯგუფი ნამდვილად იყო ჩართული შემუშავების პროცესში. ასევე აღინიშნა, რომ სკოლა უახლოეს პერიოდში გეგმავს ახალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის შექმნას, რომელიც შემუშავდება ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა აღნიშნული საკითხი, მხედველობაში იქნა მიღებული დაწესებულების პოზიცია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.**

ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში გაწეროს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმი მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება/რევიზირების პროცესში და იხელმძღვანელოს მექანიზმის შესაბამისად.

4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო საზოგადოების მცირე ჯგუფის მიერ არის გაზიარებული. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმოადგენლებმა აღნიშნეს, რომ უახლოეს პერიოდში იგეგმება მექანიზმის შემუშავება, რომლის მიხედვითაც მოხდება აღნიშნული დოკუმენტის გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის. ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ იქნა მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა, რომ გაზიარება მოხდა თუნდაც მცირე ჯგუფის მიერ. დაწესებულებამ წარმოადგინა პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმები სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს წევრები-მშობლები და პედაგოგები, ასევე პედაგოგიური საბჭოს წევრები იცნობენ სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

5. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლამ წარმოადგინა ფოტომასალა, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლის შენობაში გამოკრულია აღნიშნული დოკუმენტი, ასევე გაზიარებულია სკოლის სოციალურ გვერდზე. აღნიშნული გადამოწმდა ვიზიტის დროს, პირველ სართულზე დერეფანში მისია განთავსებულია

საინფორმაციო დაფაზე A4 ფორმატის ქაღალდზე დაბეჭდილი. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

ექსპერტთა რჩევაა, მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდეს ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას ადვილად შესამჩნევი ფორმატით.

6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდებაა სსიპ ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლა. აღნიშნული სახელწოდება სკოლას მიენიჭა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს #132/ნ ბრძანებით. დაწესებულება არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შესაბამისად აღნიშნული ჩანს მის დასახელებაშიც. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- სამეურვეო საბჭოს ოქმით;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმით;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს #132/ნ ბრძანებით;
- ფოტომასალით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პირველ ეტაპზე სსიპ ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლას განაცხადთან ერთად არ წარუდგენია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემეუშავების მეთოდოლოგია. სკოლა გეგმავდა უახლოეს პერიოდში შეექმნა აღნიშნული დოკუმენტი. ინტერვიურებისას დირექტორმა აღნიშნა, რომ სამუშაო ჯგუფი უკვე შექმნილი იყო და დაწესებულება შეიმუშავებდა მეთოდოლოგიურ დოკუმენტს, რომელშიც ასახავდნენ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **ექსპერტთა პირველადი შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული.** დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დანართი 1- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია(ბრძანება#01-03/34;10.08.2023) ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. შესაბამისობის გეგმით ხარვეზის აღმოსაფხვრელად გათვალისწინებულ იქნა 30/06/2023 -10/08/2023 პერიოდი. შესაბამისად, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესრულების მტკიცებულება. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა დანართი 1-ით წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას სამუშაო ჯგუფის, ინიცირებაზე უფლებამოსილი პირის, სტრატეგიული გეგმის შედგენის პროცედურების, შემადგენელი ნაწილების, ცვლილებების შეტანის,

მონიტორინგის შესახებ. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ეფუძნება თანამონაწილეობით მუშაობას და შესაძლებლობა ეძლევა მოსწავლეებს, მშობლებს, პერსონალს, სხვა დაინტერესებულ მხარეებს ჩაერთონ აღნიშნულ პროცესში, ასევე განხილვა-რევიზირების ეტაპზე ხდება სასკოლო საზოგადოების მოწვევა. შესაბამისად შესაძლებელია სხვადასხვა რგოლის ინტერესის და პრიორიტეტის გათვალისწინება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების** მე-**15 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

2. დაწესებულებას ვიზიტის პერიოდისთვის არ ჰქონდა შექმნილი სკოლის სტრატეგიული გეგმა. როგორც დირექტორმა აღნიშნა, სკოლას წინარე წლებში ჰქონდა მსგავსი დოკუმენტი, თუმცა არ მოდიოდა თანხვედრაში ინდიკატორის მოთხოვნებთან. შესაბამისად, მას შემდეგ რაც მოხდებოდა მეთოდოლოგიის შემუშავება, სკოლა შექმნიდა მეთოდოლოგიის შესაბამის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას. **ექსპერტთა პირველადი შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა, დაწესებულება სტრატეგიული გეგმის შემუშავებას აპირებს 30/06/2023 -04/09/2023 პერიოდში, რაც შესაძლებლად იქნა მიიჩნეული. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (30/06/2023-04/09/2023) უზრუნველყოს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

3. დაწესებულებამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია შესასრულებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები. გეგმა მოიცავს ისეთ აქტივობებს, რაც გამომდინარეობს ყოველწლიური საქმიანობიდან და აუცილებელად შესასრულებელი აქტივობაა. მაგალითად, წლიური შესყიდვების გეგმის დამტკიცება, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება და დამტკიცება და ა.შ. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრული აქვს სკოლის შინაგანაწესის დამტკიცება.თუმცა ვიზიტისას წარმოადგინა 2019 წელს დამტკიცებული შინაგანაწესი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შესაბამისად, დაწესებულებას ახალი დოკუმენტის დამტკიცების საჭიროება არ

ჰქონდა და აღნიშნული საკითხი მექანიკურად იქნა გადმოტანილი წლის სამოქმედო გეგმაში. თუმცა ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მას შემდეგ რაც ექნებათ ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმაც დაეფუძნება ამ დოკუმენტს და ყოველწლიურ თვითშეფასებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, მეთოდოლოგიურ დოკუმენტში გაიწეროს სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხი და იგი დაეფუძნოს სკოლის სტრატეგიულ გეგმასა და ყოველწლიურ თვითშეფასებას.

4. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელშიც მოცემული იყო ვადები, პასუხისმგებელი პირები, თუმცა არ იყო მითითებული შესრულების ინდიკატორები, რითაც დასაბუთდებოდა, რომ აღნიშნული აქტივობა განხორციელდა. ასევე, არ იყო მითითებული რესურსების ჩამონათვალი, რაც საჭიროა კონკრეტული აქტივობის განსახორციელებლად. გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა სტრატეგიული განვითარების გეგმა, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები არ იყო ფორმულირებული ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით პირველ ეტაპზე, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ 04/09/2023- 08/09/2023 პერიოდში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(04/09/2023-08/09/2023) უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამოქმედო გეგმა;
- შესაბამისობის გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას პირველადი შეფასებისას არ ჰქონდა წარმოდგენილი მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ჰქონდათ მონიტორინგის განხორციელების პრაქტიკა და აღნიშნულ მექანიზმებს აუცილებლად გაწერდნენ ახალ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში. **ექსპერტთა შეფასებით, პირველ ეტაპზე ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დანართი 1- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია(ბრძანება#01-03/34;10.08.2023) ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. შესაბამისობის გეგმით ხარვეზის აღმოსაფხვრელად გათვალისწინებულ იქნა 30/06/2023-10/08/2023 პერიოდი. შესაბამისად, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესრულების მტკიცებულება. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა დანართი 1-ით წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას სამუშაო ჯგუფის, ინიცირებაზე უფლებამოსილი პირის, სტრატეგიული გეგმის შედგენის პროცედურების, შემადგენელი ნაწილების, ცვლილებების

შეტანის, მონიტორინგის შესახებ. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ეფუძნება თანამონაწილეობით მუშაობას და შესაძლებლობა ეძლევა მოსწავლეებს, მშობლებს, პერსონალს, სხვა დაინტერესებულ მხარეებს ჩაერთონ აღნიშნულ პროცესში, ასევე განხილვა-რევიზირების ეტაპზე ხდება სასკოლო საზოგადოების მოწვევა. სტრატეგიული გადახედვის ფაზაზე ხდება მონიტორინგი. გარდა ამისა, მონიტორინგის ჯგუფი ყოველწლიურად შეისწავლის სამოქმედო გეგმის შედეგებს და აღნიშნულის საფუძველზე ახორციელებს ცვლილებას საჭიროებისამებრ სტრატეგიული განვითარების გეგმაში. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

2. დაწესებულების დირექტორი ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს გაწეული საქმიანობის შესახებ.სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ დირექტორი წარადგენს ანგარიშს. თუმცა რამდენად ხორციელდებოდა სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ამის დამადასტურებელი დოკუმენტები სკოლამ ვერ წარმოადგინა. დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მას შემდეგ რაც შეიქმნება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია , აღნიშნული საქმიანობა განხორციელდება ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ამ ეტაპზე ინდიკატორთან მიმართებით ვერ მოხდება სკოლის შეფასება.**

ექსპერტთა რჩევაა დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწეროს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი .

3. სკოლას არ აქვს ვებგვერდი, სადაც განთავსდებოდა სამოქმედო გეგმის ანგარიში. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების შედეგები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის და სურვილის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შედეგების გაცნობას დაინტერესებული მხარეებისთვის. სასურველია სკოლას შემუშავებული ჰქონდეს შესაბამისი მეთოდოლოგია, რომლითაც გაიწერებოდა საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმები. **ექსპერტთა შეფასებით, ამ ეტაპზე ინდიკატორთან მიმართებით ვერ მოხდება სკოლის შეფასება.**

ექსპერტთა რჩევაა დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწეროს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობის მექანიზმი.

4. დაწესებულების წარმომადგენლები იზიარებენ ინდიკატორის მოთხოვნას და იგეგმება ახალი სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოყენებულ იქნას საქმიანობის გასაუმჯობესებლად. თუმცა ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს შექმნილი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც დადასტურდებოდა, რომ სკოლა მომდევნო საქმიანობის

განხორციელებისას შესრულების შედეგებს გამოიყენებდა განვითარებისთვის. თუმცა სკოლას აქვს მსგავსი პრაქტიკა, ადგილზე ვიზიტისას წარმოდგენილ იქნა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები და დირექტორმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ იგი ყოველთვის იყენებს უკუკავშირს შემდგომი დაგემვისას, განიხილავს მიღწეულ შედეგებს სამეურვეო საბჭოს და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და იღებს უკუკავშირს კოლეგებისა და მშობლებისგან.

ექსპერტთა რჩევაა დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწეროს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი .

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამოქმედო გეგმით;
- სამეურვეო საბჭოს ოქმით;
- დირექტორის ანგარიშით;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- მტკიცებულებები-დანართი 1-სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლას მართავს დირექტორი დირექციასთან ერთად. დირექტორს ირჩევს სამეურვეო საბჭო, დაწესებულებაში ფუნქციონირებს პედაგოგიური და მრჩეველთა საბჭოები, ამასთანავე დირექციასთან და პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად მუშაობს ადმინისტრაცია და ტექნიკური პერსონალი, სკოლას ჰყავს ექიმი და მანდატურები, ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი. დაწესებულებაში ფუნქცია-მოვალეობები დელეგირებულია და ყველა სტრუქტურული ერთეული ფუნქციონირებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში. სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს მათ სამუშაო მოვალეობებს. სკოლას დამტკიცებულია აქვს კათედრების დებულება, სამეურვე საბჭოს და პედაგოგიური საბჭოს სამოქმედო გეგმები. პირველადი შეფასებისას დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული სტრუქტურა, რომელშიც გამოჩნდებოდა როგორ ხდებოდა მოვალეობების დელეგირება, რომელი სტრუქტურული ერთეული ვის ექვემდებარებოდა და როგორი იერარქია ჰქონდა სკოლას. გარდა ამისა, დაწესებულებას არ ჰქონდა წამოდგენილი სამუშაო აღწერილობები, რომლითაც მკაფიოდ გამოჩნდებოდა თითოეული დასაქმებული პირის სამუშაო მოვალეობები და დაქვემდებარებულთა იერარქია. შესაბამისად, ვერ ხდებოდა მოვალეობების მკაფიოდ გამიჯვნა. **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ 15/07/2023-27/07/2023 პერიოდში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. შესაბამისად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესრულების მტკიცებულებები- დანართი 2-ით წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 27 ივლისის #01-03/32 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები, ხოლო

დანართი 3-ით დაწესებულების სტრუქტურა. დაწესებულების სტრქტურა შეესაბამება არსწბულ საშტატო და არასაშტატო ერთეულებს. ასევე სწორად არის განსაზღვრული იერარქია და დაქვემდებარება სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამდებობებს შორის. ბრძანებაში გაწერილია დირექტორის მოადგილეების ფუნქციები, ბუღალტრის,ბიბლიოთეკარის, საქმისმწარმოებლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის და ექიმის ფუნქცია-მოვალეობები. ბრძანება არ მოიცავს IT სპეციალისტის, დამლაგებლის, დარაჯის, მუშის, სპეციალური მასწავლებლის, ფსიქოლოგის მოვალეობებს. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა მოვალეობების ჩამონათვალი თითოეული პოზიციისთვის. მოვალოებების ჩამონათვალი შეესაბამება პერსონალის საქმიანობის სფეროს. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

ექსპერტთა რჩევაა, გაიწეროს ფუნქციები საშტატო და არასაშტატო განრიგით განსაზღვრული ყველა თანამდებობისთვის.

2. დაწესებულების საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამშრომლის არსებობა ხელს უწყობ საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებას. მრჩეველთა საბჭო, მანდატურები და დისციპლინარული კომიტეტი ტექნიკურ პერსონალთან ერთად ზრუნავს სკოლაში უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემოს შექმნაზე. ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო და კათედრები ზრუნავს სასწავლო პროცესის დაგეგვაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. დირექცია ფასილიტაციას უწევს ამ პროცესებს, ჩართულია თითეული რგოლის მუშაობაში, აფასებს განხორციელებულ პროცესებს და საჭიროებისამებრ გასცემს რეკომენდაციებს. სამეურვეო საბჭო საჭიროებისამებრ წარუდგენს სკოლის დირექტორს რეკომენდაციებს, ითანხმებს სასკოლო სასწავლო გეგმას, ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესსა და ბიუჯეტს, იბარებს სკოლის დირექტორისგან წლის ბოლოს ფინანსურ და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხელშეკრულებები;
- კათედრის დებულება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- სამოქმედო გეგმა;
- შინაგანაწესი;

- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- მტკიცებულებები-დანართი 2, დანართი 3.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ფუნქციონირებს მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილებების მიღებისას სკოლის დირექტორი ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ კანონით, „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის #40/ნ ბრძანებით და სხვა ნორმატიული თუ კანონქვემდებარე აქტებით. ამ ეტაპზე სკოლაში პერსონალის მართვა და მასთან დაკავშირებული პროცესები ხორციელდება სკოლის შინაგანაწესის და შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. **ექსპერტთა შეფასებით, პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.**
2. სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება, შრომის კოდექსის და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც მოხდებოდა პერსონალის საჭიროებების გამოვლენა და შემდგომში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 27/06/2023-03/07/2023 პერიოდზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. დაწესებულებამ დანართი 4-ით წარმოადგინა შესრულების მტკიცებულება- სკოლის დირექტორის 2023 წლის 03 ივლისის #01-03/28 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს როგორც პრევენციულ ისე ინტერვენციულ ღონისძიებებს. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

3. ვიზიტისას სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული სამუშაო აღწერილობები, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები სხვადასხვა პოზიციისთვის. ასევე არ არსებობდა ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნებოდა კონკურსის ჩატარების პროცედურები. თითოეული ვაკანსიის გამოცხადებისას სკოლა ხელახლა ამტკიცებდა საკონკურსო პირობებსა და პროცედურებს, რაც შესაძლებელს ხდიდა რომ შეცვლილიყო საკვალიფიკაციო მოთხოვნები . სკოლაში არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფდა ობიექტურობასა და გამჭირვალობას, რადგან მოთხოვნები წინასწარ არ იყო ფორმირებული კონკურსის გამოცხადებისას. **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 10/08/2023-22/08/2023 პერიოდზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(*10/08/2023-22/08/2023) *უზრუნველყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკურსის ჩატარების წესის შემუშავება.*

4. სკოლის პედაგოგთა კვალიფიკაცია შეესაბამება მასწავლებლის პროფესიისთვის განკუთვნილ მოთხოვნებს. აღნიშნული რეგულირდება საქართველოს განათლებისა მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174ნ ბრძანებით. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა eschool-ის ბაზიდან მონაცემების რეპორტი, რითაც დადასტურდა, რომ ყველა პედაგოგს ჰქონდა კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაცია. ასევე ვიზიტისას გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, რითაც დადასტურდა, რომ დასაქმებულთა კვალიფიკაცია შესაბამისობაშია თანამდებობებთან. იქედან გამომდინარე, რომ რიგ პოზიციებთან დაკავშირებით კანონით არ არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დაწესებულებას თავად უნდა განესაზღვრა რა მოთხოვნები აქვს თითოეული პოზიციისთვის, მათ შორის ტექნიკური პერსონალისთვის. თუმცა ვიზიტისას არ იყო შექმნილი დოკუმენტი, რითაც განისაზღვრებოდა ცალკეული თანამდებობებისთვის მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნა ამიტომ **ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 10/08/2023-22/08/2023 პერიოდზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(*10/08/2023-22/08/2023) *უზრუნველყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება.*

5. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო. გადაწყვეტილებების მიღება სკოლაში ხდება გუნდთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში იქმნება კომისია სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ვიზიტის დროსაც, დადასტურდა, რომ მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებით ფუნქციონირებს დაწესებულება. თუმცა ამ ეტაპზე არ არის შექმნილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, დაწესებულება ახდენს მოვალეობების დელეგირებას და პასუხისმგებელბების გადანაწილებას. ინტერვიურებისას დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში დანერგილია თანამშრომლობითი გარემო და ყველა პირი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებეულებების დოკუმენტითაც გაცხადებულია, რომ სკოლის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება თანამშრომლობაა. **ექსპერტთა შეფასებით, პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

6. სსიპ ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლის შინაგანაწესის მეათე მუხლი ეხება დასაქმებულის წახალისების ფორმებს, სკოლა სხვადასხვა ფორმას იყენებს თანამშრომელთა წახალისების მიზნით. გარდა ამისა, სკოლა რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას სკოლის თანამშრომლეთა მიღწევების და განხორციელებული აქტივობების შესახებ. რასაც ერთგვარად წახალისების ეფექტი აქვს. პედაგოგთა საქმიანობა ითვალისწინებს კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებას. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს წამყვანი პედაგოგები, რომლებმაც სტატუსი აიმაღლეს სხვდასხვა აქტივობების განხორციელების და პორტფოლიოს წარმოების გზით. სკოლის წარმოამდგენლებმა აღნიშნეს, რომ მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ პედაგოგებს კარიერულ ზრდასა და განვითარებაში, წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით კი ხდება სამუშაო შეხვედრების ჩატარება, კოლეგის გაკვეთილზე დასწრება და კათედრებზე გამოცდილების გაზიარება. საუკეთესო პრაქტიკის შემთხვევები კი ვრცელდება სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შეინაგანაწესი;
- კონკურსის ჩატარების ამსახველი დოკუმენტაცია;
- პირადი საქმეები;
- შესაბამისობის უზურნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლის დირექტორის 2020 წლის 27 ნოემბრის #01-03/44 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. აღნიშნული დებულებით რეგულირდება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა. სკოლის მხარდამჭერი ჯგუფი შექმნილია საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. ჯგუფის ფუნქციონირების მიზანია მასწავლებლის საქმიანობაზე დააკვირვება, შეფასება და უკუკავშირის მომზადება. მასწავლებლის საქმიანობის შეფასება ხდება გაკვეთილზე დაკვირვებით, მასწავლებლის მიერ შექმნილი საგნობრივი კურიკულუმის, მისი განხორციელების ანალიზის საფუძველზე. ხარისხის ჯგუფი სხდომებზე განიხილავს მასწავლებელთა საჭიროებებს და განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლას ავტორიზაციის ვიზიტისას არ ჰქონდა შემუშავებული სხვა თანამშრომლების შეფასების წესი და არც პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილი აქტივობები. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 27/06/2023-03/07/2023 პერიოდზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. დაწესებულებამ დანართი 4-ით წარმოადგინა შესრულების მტკიცებულება- სკოლის დირექტორის 2023 წლის 03 ივლისის #01-03/28 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომელთა შეფასებასთან და პროფესიული ღონისძიებების დაგეგმვას პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

2. ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლის დირექტორის 2020 წლის 27 ნოემბრის #01-03/44 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების თანახმად, პერსონალის განვითარებისთვის შეიძლება დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები, რომელიც მორგებული იქნება პედაგოგთა საჭიროებებს. თუმცა შემდგომ ეტაპზე როგორ ხდება მონიტორინგი, განხორციელდა თუ არა დაგეგმილი აქტივობები ან იყო თუ არა ეფექტიანი გრძელვადიან პერსექტივაში ამის შეფასებას არ ითვალისწინებს დებულება. შესაბამისად, მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს პროცესს, რადგან არ არის გათვალისწინებული შესრულების ინდიკატორის, მტკიცებულების წარდგენა. ასევე არ არის განსაზღვრული გეგმის შემუშავება სხვა დასაქმებული პირებისთვის. იქედან გამომდინარე, რომ ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად ჯერ არ განხორციელებულია პერსონალის შეფასება- დაწესებულებას ჯერ არ აქვს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმა. **ექსპერტთა შეფასებით, პირველადი ავტორიზაციის დროს ეს ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

ექსპერტთა რჩევაა, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განისაზღვროს შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე პერსონალის განვითარების გეგმის შედგენა.

3. მასწავლებლის საქმიანობა ითვალისწინებს პროფესიულ ზრდას. სკოლაში დასაქმებული პედაგოგები ჩართულნი არიან კარიერული დაგეგმვის და წისვლის სქემაში, პედაგოგთა პირადი საქმეებით დასტურდება, რომ მასწავლებლებმა იცვალეს სტატუსი და სკოლა ხელს უწყობდა ამ პროცესს. პედაგოგთა კარიერული განვითარება რეგულირდება „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით. სკოლას არ აქვს შემუშავებული რაიმე ტიპის მექანიზმი, რითაც მოხდებოდა სასკოლო დონეზე ამ პროცესის დარეგულირება. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.**

ექსპერტთა რჩევაა, გაიწეროს პერსონალის კარიერულ ზრდის შიდა მექანიზმები და პროცედურები.

4. სკოლას არ აქვს შექმნილი მექანიზმი ან პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც დარეგულირდებოდა ახალი თანაშრომლის ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში მოქმედებდა მაძიებლის პროგრამა. მაძიებელს ხელმძღვანელობდა და კონსულტირებას უწევდა ტუტორი. შედეგად ორმა მაძიებელმა მასწავლებელმა მიიღო უფროსი მასწავლებლის სტატუსი. კათედრის წევრები მუდმივად ეხმარებიან ახალ წევრს სამუშაო პროცესში და ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს. თუმცა დაწესებულება ხელს უწყობს სხვა პერსონალის ინტეგრაციის პროცესსაც, რაც დასტურდება ასევე თანამშრომლებთან გასაუბრებით. ექსპერტთა შეფასებით, **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.**

ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ შეიმუშაოს თანამშრომელთა ინტეგრაციის წესი.

5. სსიპ ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლაში მასწავლებლები წახალისებული არიან განვითარებისათვის, სკოლის დირექციის მიერ განსაკუთრებული წესით სტატუსის მინიჭებაზე წარდგენილი იქნა 1 პედაგოგი. დირექცია ხელს უწყობს და მხარს უჭერს პედაგოგებს გაიარონ კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრენინგები, დროულად აწვდის ინფორმაციას თანამშრომლებს დაგეგმილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების შესახებ. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სერთიფიკატები, რითაც დასტურდება თანაშრომელთა მიერ კვალიფიკაციის ამაღლება. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის ჯგუფის დებულების მეშვიდე მუხლის თანახმად ხარისხის ჯგუფის ერთ-ერთი მოვალეობა პროფესიული განვითარების მიზნით რეკომენდაციების გაცემაა- რა ტიპის ტრენინგი და გადამზადება გაიაროს პედაგოგმა. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლა საგანამანათლებლო საქმოაინობას წარმართავს თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით. სკოლის თითოეული რგოლი ურთიერთდაკავშირებულად ფუნქციონირებს სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომელთა საქმიანობა საერთო ჯამში ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას. სკოლა, როგორც ორგანიზაცია და ინსტიტუცია, თავის საქმიანობას წარმართავს პროცესული მიდგომით. დაწესებულებას აქვს დაგეგმვის და მონიტორინგის პრაქტიკა. თუმცა აღნიშნული პროცესი არ არის ციკლური. ვიზიტისას სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ან სხვა რაიმე ტიპის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნებოდა ხარისხის მართვის ციკლი -დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. თუმცა სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სხვა ტიპის მექანიზმებთან ერთად ერთობლივად იმუშავებენ აღნიშნულ საკითხზე და დაწესებულების მართვისას იყენებს სკოლის მართვის პროცესულ მიდგომას, ხელს უწყობს დაწესებულების ყველა რგოლის ერთი მიზნისკენ მიმართვას და მონიტორინგსაც უწევდა შესრულებულ სამუშაოებს, თუმცა ეს ხდებოდა საწყის ელემენტებზე. **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 02/10/2023-30/10/2023 პერიოდზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (02/10/2023-30/10/2023)უზრუნველყოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი მექანიზმის შემუშავება.

2. სკოლა საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით რეგულირდება საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული პროცესები და თითოეული ტიპის პროცესზე პასუხისმგებელი პირები. ავტორიზაციის ვიზიტისას სკოლას არ ჰქონდა შექმნილი დოკუმენტი, რომელშიც თითეულ რგოლთან მიმართებით ან სკოლის სტრუქტურიდან გამომდინარე გაწერილი იქნებოდა რა ტიპის პროცესზე რომელი სტრუქტურა და/ან პირია პასუხისმგებელი. **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.** დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25¹ მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 25/01/2024-20/03/2024 პერიოდზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(25/01/2024-20/03/2024) უზრუნველყოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტის შემუშავება.

3. შეფასებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით სარგებლობის უფლება აქვს თითოეულ მოსწავლეს. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ნიშნის ასამაღლებელი გამოცდა, რაც იმ შემთხვევაში უტარდება მოსწავლეს თუკი არ ეთანხმება არსებულ შეფასებას და მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი მიმართავს სკოლის დირექციას განცხადებით.

დისციპლინარულ გადაცდომასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს დისციპლინარული კომიტეტი. ვიზიტისას სკოლაში არ არსებობდა ერთიანი სისტემა, რომლითაც დარეგულირდებოდა სხვადასხვა ტიპის საჩივრის შემთხვევაში ვინ განიხილავს საჩივარს. **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 17/09/2023-04/10/2023 პერიოდზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (*17/09/2023-04/10/2023)*უზრუნველყოს საჩივრების განხილვის სისტემის შემუშავება.*

4. ვიზიტისას სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული დოკუმენტი , რომელშიც გაწერილი იქნებოდა მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი. აღნიშნული საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონით ზოგადი განათლების შესახებ და სხვა კანონქვემდებარე აქტებით. ასევე სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული პერსონალის უფლებების დაცვის შიდა მექანიზმები. თუმცა არსებობდა შრომითი ხელშეკრულება, რომლის დარღვევის შემთხვევაში დაწესებულების მხრიდან, შესაძლებელი იქნებოდა სასამართლოში გასაჩივრება. **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 15/08/2023-28/09/2023 პერიოდზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ

აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.** *ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (*15/08/2023-28/09/2023*) უზრუნველყოს სკოლის პერსონალის და მოსწავლეთა უფლებების დაცვის შიდა მექანიზმების შემუშავება.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ინფორმაციას აწვდის სასკოლო საზოგადოების წევრებს სოციალური გვერდის საშუალებით, ასევე ხდება მშობლების და დაინტერესებული პირების მოწვევა შეხვედრებზე. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებად შეკრების ამსახველი ფოტომასალა, თუმცა აღნიშნული მტკიცებულებით ვერ მოხერხდა დადგენა რასთან დაკავშირებით ჩატარდა შეხვედრა. სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის 01-03/21 ბრძანებით დამტკიცებულია კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დადასტურებულია რომ სკოლა კურიკულუმს შეიმუშავებს სასკოლო საზოაგადოების ჩართულობით. თუმცა როგორ ხდება უშუალოდ მონაწილეობის ან ინფორმირებულობის უზრუნველყოფა ეს არ ჩანს. დაწესებულების წარმოდგენილი

დოკუმენტაციით არ დასტურდება ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობა. **ექსპერტთა შეფასებით, პირველ ეტაპზე ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს 02/10/2023-30/10/2023, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(პერიოდს 02/10/2023-30/10/2023) უზრუნველყოს სკოლაში მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება.

2. სკოლაში ფუქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, ხარისხის მართვის ჯგუფი, პედაგოგიური საბჭო. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებად ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ სასკოლო ცხოვრებაში და კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულები არიან მშობლები. დამატებით წარმოადგენილ იქნა 2022 წლის 08 სექტემბრის #2 ოქმი, რომლის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი სწორედ დისციპლინარულ კომიტეტში მშობლების არჩევაა. **ექსპერტთა შეფასებით, უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სწავლა მიმდინარეობს ორ ცვლაში. სკოლა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლაში არის მორიგე დამლაგებელი, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველყოფს სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. სკოლას ჰყავს 3 მანდატური, 2 დარაჯი, ფუნქციონირებს ვიდეო სათვალთვალო სისტემა, მოქმედებს რეფერირება, სკოლაში დირექტორის ბრძანებით არის განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და აქვს აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, თუმცა არ იყო შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობათა თანაფარდობა. 1000-ზე მეტი მოსწავლის ყოლის შემთხვევაში სკოლას უნდა ჰყავდეს ორი ექიმი, ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში

შესაძლებელია ექთნის აყვანა. სკოლას ვიზიტისას ჰყავდა ერთი ექიმი. სკოლას არ ჰყავდა საჭირო რაოდენობის სამედიცინო პერსონალი ბრძანების რეკომენდაციის შესაბამისად. ასევე სკოლას არ ჰქონდა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, და უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ასევე არ არსებობდა დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. ვიზიტისას დაწესებულებას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნებოდა აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი. ვიზიტისას დაწესებულებას არ ჰქონდა:

- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ;
- შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ);

ექსპერტთა შეფასებით, პირველ ეტაპზე ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული.

- *ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას. ასევე* უზრუნველყოს *საჭირო რაოდენობის სამედიცინო პერსონალი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების რეკომენდაციის შესაბამისად.*

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. დაწესებულებამ ასევე დანართი 5-ით წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან მიწერილი 2023 წლის 03 აგვისტოს # 965186 კორესპოდენცია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ; დანართი 6-ით წარმოდგენილი იქნა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურთან მიწერილი 2023 წლის 19 ივნისის #718508 წერილი დაწესებულების სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შემოწმების მოთხოვნის შესახებ; დანართი 7-ით 2023 წლის 19 ივნისის #718134 კორესპოდენცია სამხარაულის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურისთვის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შემოწმების თხოვნის შესახებ. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს 19/06/2023-15/06/2024, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ

ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(*19/06/2023-15/06/2024) *უზრუნველყოს:*

- *უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება;*
- *შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება;*
- *შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.*

2. სკოლაში მომუშავე მანდატურები უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე და მის მიმდებარე სივრცეზე უსაფრთხოების დაცვას. სკოლის ყველა მასწავლებელი ასრულებს მასზე დაკისრებულ მორიგეობის ფუნქციას. სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კონტროლდება სკოლაში შემოსული ყველა სუბიექტის მოსვლის მიზეზი. კლასის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გამოიძახონ მოსწავლის მშობელი. სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, იცნობს სკოლაში დასაქმებული პერსონალი და მოსწავლეები. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.**

3. სსიპ ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ინფორმაციას სადამრიგებლო პროგრამის შესახებ. დამრიგებლები და მანდატურები სკოლის დირექციასთან ერთად მუდმივად ზრუნავს სკოლაში უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნაზე. სკოლაში სხვადასხვა ტიპის პროექტი ხორციელდება, რათა მოხდეს ბულინგის პრევენცია. სკოლის თითოეული თანამშრომელი ზრუნავს ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. საჭიროების შემთხვევაში , სკოლა ინფორმირებულია მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგის მომსახურების შესახებ. სკოლას დამტკიცებული აქვს რეფერირების პროცედურები და მზად არიან საჭიროების შემთხვევაში რეფერირებაზე პასუხისმგებელმა პირმა გაატაროს შესაბამის ღონისძიებები. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.**

4. სკოლას ჰყავს 5 დამლაგებელი, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ, რომ დაწესებულება იყოს მოწესრიგებული და სუფთა. სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყალით, საპონით და ქაღალდით. სკოლის ბიუჯეტით და წლიური შესრულებებიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით სკოლა ხარჯავს ფინანსებს და აქვთ ჰიგიენური საშუალებების მარაგები. ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებისას შენობა იყო მოწესრიგებული და დაცული იყო ჰიგიენის ნორმები. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.**

ექსპერტთა რჩევაა, შეიმუშავონ როგორც სართულების ისე სველი წერტილების დალაგება-დასუფთავების გრაფიკი და პროცედურები.

5. დაწესებულების წარმოამდგენლები აცნობიერებენ პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობას. სკოლის სოციალურ ქსელში ფოტომასალა ქვეყნდება მშობელთა ნებართვების საფუძველზე. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია მოსწავლეს და მშობელს მიეწოდება პირადად, კონფედენციალობის დაცვით. სკოლა ინფორმაციას გაცემს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დაფარვის შემდეგ. თუმცა ექსპერტთა ვიზიტისას სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25^1 მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს 01/11/2023-30/11/2023 , პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15^2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (*01/11/2023-30/11/2023) *უზრუნველყოს სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის შემუშავება.*

6. სსიპ ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლაში დაცულია პერსონალის და მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია. ასევე სკოლაში არსებული სხვა ტიპის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს კონფედენციალური ან შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს. თუმცა ვიზიტისას დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რის მიხედვითაც დარეგულირდებოდა აღნიშნული საკითხის მართვა დაწესებულებაში. **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს 01/11/2023-30/11/2023 , პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (*01/11/2023-30/11/2023 *)უზრუნველყოს სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმების შემუშავება.*

7. დაწესებულება ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებას, პერიოდულად შეისწავლის და აფასებს აღნიშნული მექანიზმების მუშაობის გამართულობას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის : დირექტორი ან დირექტორის მოადგილე, მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი, დისციპლინარული საბჭოს თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. წელიწადში ოთხჯერ ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომა, ამ სხდომაზე განიხილება სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. ხოლო სასწავლო წლის ბოლოს დირექტორი წარადგენს ანგარიშს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს ოქმი, რომლითაც დასტურდება რომ სკოლა ამ მიმართულებით აწარმოებს შეფასებას. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;

- შრომითი ხელშეკრულებები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. შენობა-ნაგებობა და ფართი სახელმწიფსგან უსასყიდლოდ აქვს გადაცემული პირველადი სარგებლობის უფლებით, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. შენობა არის 4 სართულიანი, ყველა სართულზეა სველი წერტილები. პირველ სართულზე-კვების ბლოკი (სასკოლო ბუფეტი), 4 საკლასო ოთახი ,დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, სამასწავლებლო, რესურს ოთახი .მეორე სართულზეა განთავსებული კომპიუტერული ოთახი, ბიბლიოთეკა ,საკლასო ოთახები. მესამე სართულზეა განთავსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, საკლასო ოთახები. მეოთხე სართულზეა განთავსებული მინი სააქტო დარბაზი , სულ არის 27 საკლასო ოთახი, 2 შიდა სპორტული მოედანი, დიდ და მცირე და გარე მოედანი. ასევე ორი სააქტო დარბაზი დიდი და მცირე. სკოლას აქვს 5 კომპიუტერი, რომელსაც იყენებს ადმინისტრაცია და კიდევ დამატებით 18 პროექტორი,24 დესკტოპი და 26 ლეფთოფი, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით, მათ შორის 8 საკლასო ოთახში განთავსებულია პროექტორი და პროექტორის დაფა. . საგნებისთვის საჭირო თვალსაჩინოებები განლაგებულია ლაბორატორიაში. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, . მოსწავლეებს ქიმიის ბიოლოგიის ,ფიზიკის გაკვეთილები უტარდებათ ლაბორატორიაში; სადაც განთავსებულია სხვადასხვა რესურსი, რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, მისი შედეგის აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა.სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, და ა.შ. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის ოთახი, არის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი. დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 1798 მოსწავლე. სკოლა გათვლილია 900 მოსწავლეზე. ამ ეტაპზე ქალაქ ბათუმის 25-ე საჯარო სკოლაში სწავლობს 1200-ზე მეტი მოსწავლე ორ ცვლაში. 27 საკლასო ოთახში განლაგებულია სულ 800 ინდივიდუალური მერხი და სკამი. შესაბამისად, სკოლამ შეიძლება მიიღოს 1600 მოსწავლე ერთ ცვლაში. ისე რომ ცვლაში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატებოდეს 800 მოსწავლეს. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას როგორც პერსონალისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. სკოლაში არსებობს კომიუტერული ტექნიკის გამოყენების და ლაბორატორიით სარგებლობის გრაფიკი. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობენ მოსწავლეები და პედაგოგები, რაც დასტურდება მკითხველის ბარათებითაც, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გაცემული წიგნების შესახებ. სკოლას ექსპერტთა ვიზიტისას არ ჰქონდა შექმნილი მატერიალური

რესურსების განკარგვის წესი, რომლითაც დარეგულირდებოდა აღნიშნული საკითხი და იარსებებდა მექანიზმი. **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს 01/11/2023-30/11/2023 , პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/11/2023-30/11/2023)უზრუნველყოს მატერიალური რესურსის განკარგვის წესის შემუშავება.

3. სასკოლო საზოგადოება ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას. დაწესებულებას ვიზიტისას არ ჰყავდა არც ეტლით მოსარგებლე მოსწავლე და არც თანამშრომელი. სკოლის შემოსასვლელში არის პანდუსი, რომლითაც საშუალება აქვს ეტლით მოსარგებლეს შევიდეს შენობაში. თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ სკოლის ბიბლიოთეკა და ლაბორატორია არ არის განთავსებული პირველ სართულზე. შესაბამისად, შშშმ პირისთვის შეუძლებელი იქნებოდა ამ სერვისებით სარგებლობა, რადგან არ არის ლიფტი. ვიზიტისას სკოლაში არ იყო ადაპტირებული საპირფარეშო და სველი წერტილი. დირექციამ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით გეგმავს მიმართოს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრქტურის განვითარების სააგენტოს. **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ასევე წარმოდგენილი იქნა 2023 წლის 10 აგვისტოს #984231 კორესპოდენცია, რომლითაც სკოლა რესურს ცენტრს სთხოვს შუამდგომლობას აჭარის განათლების ,კულტურისა და სპორტის სამინისტროში ,რათა მოხდეს ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა სკოლაში. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს 10/08/2023-

15/06/2024, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(10/08/2023-15/06/2024) უზრუნველყოს ადაპტირებული საპირფარეშოების მოწყობის უზრუნველყოფა.

4. სკოლაში არის სასიამოვნო გარემო. არის ბიბლიოთეკა, ღია და დახურული სპორტული მოედანი, ლამაზი ეზო. სკოლაში ფუნქციონირებს კარატის და ცეკვის ფასიანი წრეები. სკოლა გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროექტებს. მოსწავლეებისთვის შექმნილია ყველა პირობა, რომ ჰქონდეთ სკოლაში ყოფნის სურვილი. ფუნქციონირებს ბუფეტი, არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ დადგენილი გრაფიკით. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.**

5. დაწესებულება უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მასალებით: რუკებით, თვალსაჩინოებებით. კლასების უმრავლესობაში დგას პროექტორი და კომპიუტერი, შესაბამისად ციფრული რესურსი შეიძლება შეიტანოს მასწავლებელმა და გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები სწავლების პროცესში. სკოლას აქვს ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიები.ორი შიდა სპორტული დარბაზი და ერთი გარე მოედანი. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტიდან;
- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- შესაბამისობის უზრუნვეყოფის გეგმა;
- საზიარო სივრცეების გამოყენების გრაფიკი.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება სხვადასხვა საქმიანობის განხორციელებისთვის აქტიურად იყენებს სკოლაში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიებს, სკოლას გადაეცა 12 ახალი პროექტორი და 26 ლეფთოფი (1 ლეფთოფი ხარვეზის გამო არ მუშაობს) ახალი ტექნიკა განთავსებულია სკოლის სხვადასხვა სივრცეში ასევე სკოლაში არსებული ტექნიკის გამოყენებაც ხორციელდება. კომპიუტერული ტექნიკა განთავსებულია: ისტ-ლაბორატორიაში - 19 დექსთოფ კომპიუტერი რომელიც მოძველებულია (აქედან 5 არ მუშაობს) 11 ლეფთოფი, 1 პრინტერი და 1 პროექტორი ბიბლიოთეკა - 1 ლეფთოფი, 1 პროექტორი საქმის მწარმოებელი - 1 დექსთოფ კომპიუტერი და 1 პრინტერი კომბინირებული (მოძველებულია) ბუღალტერი - 1 დექსთოფ კომპიუტერი და 1 პრინტერი კომბინირებული დირექტორის მოადგილე - 1 ლეფთოფი რესურს ოთახში განთავსებულია - 1 ლეფთოფი და 1 პროექტორი მანდატური - 1 დექსთოფ კომპიუტერი მინი დარბაზი (საპრეზენტაციო ოთხი) - 1 ლეფთოფი და 1 პროექტორი (1 ცალი სისტემური ბლოკი ელექტრონული ხელმოწერისთვის. 8 საკლასო ოთახში განთავსებულია - პროექტორები თავისი ეკრანით 7 ლეფთოფი განთავსებულია დირექტორის კაბინეტში სპეციალურ თაროზე რომლის სარგებლობაც შეუძლია მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესისათვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.**
2. დაწესებულებას შექმნილი აქვს დოკუმენტი, რომლითაც განკარგავენ არსებულ ტექნიკას. შექმნილია სამუშაო სივრცეები პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის. აღნიშნულ დოკუმენტს თან ახლავს გეგმა-გრაფიკი, რომლითაც რეგულირდება ტექნიკის გამოყენება. სკოლაში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გრაფიკის შესაბამისად

ინფრასტრუქტურით სარგებლობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საერთო სამუშაო სივრცეებით სარგებლობის წესი;
- ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. .სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამის საქმის წარმოების წესი. სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები). სკოლაში ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებისას ან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში იდება ახალი ხელშეკრულება, ხოლო სხვა სახის ცვლილებისას კეთდება შეთანხმება, რომელიც ეხება ხელშეკრულებას. მოსწავლეთა პირადი საქმეები მატერიალურად ივსება პირველ კლასში. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას. თუმცა ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა 1999 წელს დამტკიცებული საქმიწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაში არ მოდიოდა მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ . ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში

შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 17 აგვისტოს N951 ბრძანებასთან **ექსპერტთა შეფასებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისი".**
დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 26/06/2023-03/07/2023 პერიოდზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა შესრულების მტკიცებულება- 2023 წლის 03 ივლისის #01-03/27 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ინსტრუქცია. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი საქმისწარმოების ახალი ინსტრუქცია. აღნიშნული წესი სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და შეესაბამება სკოლის პრაქტიკულ საქმიანობას. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, დოკუმენტაციის წარმოებისთვის აქვს E-flow და E-school ის ბაზა რომელთა მოხმარებაც შეუძლია სკოლის ყველა თანამშრომელს პირადი მომხმარებლის და პაროლის საშუალებით. სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი (onlineschool.emis.ge) . შემოსლი და გასული კორესპოდენციის, ასევე ბრძანებების ატვირთვა ხდება eflow-ში. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.**

3. ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა სკოლის eschool-ის ბაზა. სკოლას სრულყოფილად აქვს ყველა საჭირო მონაცემი ასახული. თუმცა ბაზაში ჩარჩენილია სკოლის ძველი მისამართი. სკოლას შეცვილი და განახლებული აქვს საჯარო რეესტრის ამონაწერი, თუმცა ინფორმაცია გასაახლებელია ბაზაში. სხვა ტიპის ყველა საჭირო მონაცემი სწორია და შეესაბამება არსებულ რეალობას. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.**

ექსპერტთა რჩევაა, განახლდეს სკოლის ბაზაში დაწესებულების მისამართი საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად.

4. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა eflow-ში რამდენიმე შემოსული კორესპოდენცია, რომელზეც დაწესებულებამ წარადგინა პასუხი. თითოეულ შემთხვევაში სკოლას დროულად ჰქონდა მიწოდებული ინფორმაცია რესურს ცენტრისთვის. ასევე ვიზიტისას წარმოადგინეს ფინანსური ანგარიგების ამსახველი დოკუმენტების წარდგენის დამადასტურებელი წერილები, სამეურვეო საბჭოსთან წარდგენილი ანგარიშები. საქმისმწარმოებელმა აღნიშნა, რომ შემოსულ განცხადებებზე , როცა რაიმე ტიპის ინფორმაციის გამოთხოვას ეხება, უკუკავშირი ხდება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესით;
- შემოსული კორესპოდენციებით;
- სამეურვეო საბჭოს ანგარიშებით;
- ბაზების ვიზუალური დათვალიერებით;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- შესრულების მტკიცებულება-დანართი 10-საქმისწარმოების ინსტრუქცია.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია

(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტისას სკოლას არ ჰქონდა ოფიციალური ვებგვერდი. თუმცა იყენებდა სოციალურ ქსელს Facebook-ის გვერდს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული თუ დაგეგმილი აქტივობების შესახებ ვრცელდება ამ გვერდის საშუალებით. გარდა ამისა, შექმნილია ჯგუფები სოციალურ ქსელში, სადაც მოსწავლეთა მშობლებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია კლასის დამრიგებლების მიერ. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს 17/07/2023-30/11/2023, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (*17/07/2023-30/11/2023) *უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა.*

2. დაწესებულების სოციალურ გვერდს მართავს სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. სოციალურ ქსელში განვრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. ხდება გადამოწმება სკოლის დირექციის მიერ და ვრცელდება მხოლოდ მას შემდეგ. ან ვრცელდება სამინისტროს ოფიციალური გვერდიდან აღებული ინფორმაცია. სკოლას არ აქვს ოფიციალური ვებგვერდი, თუმცა მომდევნო ეტაპზე დაწესებულება გეგმავს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა უზრუნველყოფს**

მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

3. დაწესებულება მუდმივად იღებს უკუკავშირს და აქვს მზაობა გაითვალისწინოს თემის და სასკოლო საზოგადოების აზრი. სკოლა სოციალური ქსელის საშუალებით აზიარებს საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას. იღებს უკუკავშირს მშობლებისა და მოსწავლეებისგან. სასურველია, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის და/ან ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებისას დაწესებულებამ გაითვალისწინოს უკუკავშირის ფორმები და მიღებული უკუკავშირის ასახვის გზები დაგეგმვის პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

4. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, შესაბამისად სკოლა გეგმავს ვებგვერდი იყოს ერთენოვანი, რადგან არ აქვთ უცხო ენაზე გვერდის ქონის საჭიროება. სკოლას ვიზიტისას არ ჰქონდა ვებგვერდი, **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს 17/07/2023-30/11/2023, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (*17/07/2023-30/11/2023) *უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.*

5. ვიზიტისას სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავდნენ ვებგვერდის სტრუქტურა იყოს ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი. კერძოდ, ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან

დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. თუმცა **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს 17/07/2023-30/11/2023, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (*17/07/2023-30/11/2023) *უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის Facebook გვერდით;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა ბოლო ორი წლის ბიუჯეტები თავისი შესრულებებით, რითაც დასტურდება რომ სკოლას აქვს საკმარისი შემოსავლები განახორციელოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები. სკოლა უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსებით, ჰიგიენური საშუალებებით, იხდის გათბობის თანხებს, თუმცა ყოველწლიურად რჩება ნაშთის სახით გარკვეული თანხმა. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.**
2. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. ინვენტარისა თუ სხვა სახის საგნების შეძენის საჭიროების შემთხვევაში სკოლის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მიმართავს დირექტორს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღწერილია საჭიროება და ბაზრის კვლევა. ყველა საჭირო პროცედურის დაცვით ფორმდება დოკუმენტაცია(ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა მიღება–ჩაბარების აქტი) და ხდება შესყიდვა. მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის ანგარიში ფინანსურ საკითხებზე , რომელსაც იგი წარუდგენს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს. გარდა ამისა, სკოლა მონიტორინგს უწევს ხარჯებს კვატალურად. სკოლის ბიუჯეტი ყველასთვის ცნობილია. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ბიუჯეტი თავისი შესრულებებით;
- სამეურვე საბჭოს ოქმები;
- დირექტორის ანგარიში.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შინაგანაწესით შემუშავებული აქვს აგრეთვე მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის პრევენციის მექანიზმები, აღნიშნული მექანიზმების ფარგლებში სკოლის დირექციის წარმომადგენელი ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომლის გაცნობაც ხორციელდება სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის თანხვედრაშია მქომედ კანონმდებლობასთან.გარდა ამისა, სკოლას აქვს ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება მოსწავლის კანონიერ წარმოადგენელსა და დაწესებულებას შორის. შესაბამისად მოსწავლის უფლებების დაცვის გარანტად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული

ხელშეკრულება. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

2. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ასევე ხელშეკრულებას ეცნობა როგორც კანონიერი წარმომადგენელი, ისე სკოლის პერსონალი. აღნიშნული რეგულაციები არის გამჭირვალე, არ არის ორაზროვანი და არ იძლევა ინტერპრეტირების შესაძლებლობას. შინაგანაწესი გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლა მოსწავლეებისთვის აწყობს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას, რაც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობების ჩატარებას. სკოლის შინაგანაწესს პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. **ექსპერტთა შეფასებით, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.**

3. სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულების შაბლონი, რომელიც გაფორმდება ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას როგორც მოსწავლის ვალდებულებების, ისე უფლებების შესახებ. ასევე მოიცავს ინფორმაციას მხარეთა სესახებ, ხელშეკრულების ნომერს, გაფორმების თარიღსა და ადგილს, ხელშეკრულების საგანს. წარმოდგენილი დოკუმენტი სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **ექსპერტთა შეფასებით, მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხელშეკრულებით;
- შინაგანაწესით.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხის რეგულირებისას ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ ზოგადი განათლების შესახებ კანონი, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებას, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებას. თუმცა სკოლას ვიზიტისას არ ჰქონდა გაწერილი შიდა რეგულაციები საკითხის დარეგულირების მიზნით. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.** დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს 26/06/2023-27/07/2023, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა შესრულების მტკიცებულება- დანართი #9-ით წარმოადგინა 2023 წლის 27 ივლისის #01-03/31 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და შეესაბამება სკოლის პრაქტიკულ საქმიანობას. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

2. დაწესებულება მოქმედებს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. და მოსწავლის ჩარიცხვას და სხვა პროცედურებს ახორციელებს ზედმიწევნით ზუსტად. მაგრამ რადგანაც ვიზიტისას სკოლას თავად არ ჰქონდა შექმნილი

მექანიზმები რომლის მიხედვითაც წარმართავდა საქმიანობას არ იყო უზრუნველყოფილი ინდიკატორის მოთხოვნა. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს 26/06/2023-27/07/2023, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა შესრულების მტკიცებულება- დანართი #9-ით წარმოადგინა 2023 წლის 27 ივლისის #01-03/31 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და შეესაბამება სკოლის პრაქტიკულ საქმიანობას. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

3. დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეების შესახებ. თუმცა ამ ეტაპზე სკოლა არ ეწევა ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას. ასევე თვალსაჩიონდ არის გამოკრული სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის ქცევას და სკოლის პოლიტიკას მოსწავლის მხრიდან არასასურველი ქცევის შემთხვევაში. გარდა ამისა, კლასის კრებებზე ხდება მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის სკოლის შინაგანაწესის გაცნობა. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

4. დაწესებულება ინფორმაციის გაზიარების მიზნით იყენეს სოციალურ ქსელს, რადგან ამ ეტაპისთვის არ აქვს სკოლას ოფიციალური ვებგვერდი. ექსპერტთა მიერ, გადამოწმდა სკოლის ოფიცილაური ფეისბუქ-გვერდი, მასზე განთავსებული ინფორმაცია იყო უტყუარი, შესაბამისობაში მოდიოდა კანონმდებლობასთან და არ შეიცავდა რაიმე ტიპის დისკრიმინაციას. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას განაცხადეს, რომ ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებიან ინფორმაციის გაზიარებას, ხდება დაზუსტება და გადამოწმება და მხოლოდ მას შემდეგ აწვდიან ინფორმაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს. **ექსპერტთა**

შეფასებით, სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მოსწავლეთა ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- შესრულების მტკიცებულება-დანართი 9-მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, სკოლა აწყობს ექსკურსიას მომავალი პირველკლასელებისთვის, რომ უცხოდ არ იგრძნონ თავი ახალ გარემოში. აცნობენ სკოლის ინფრასტრუქტურას და გარემოს, სადაც მოუწევთ სწავლა. სკოლას შემუშავებული აქვს ტრანზიციის მექანიზმები, რითაც დაეხმარებოდა მოსწავლეს როგორც სკოლამდელი დაწესებულებიდან სკოლაში ადაპტაციაში, ასევე სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეს ახალ სასწავლო გარემოსთან შეგუებაში. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა 2022-2023 წლის ტრანზიციის გეგმა. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი.**
2. სკოლა სასწავლო წლის დაწყებისთანავე უქმნის მოსწავლეებს ადაპტირებულ გარემოს. გარემონტებულ, მოწესრიგებულ საკლასო ოთახები. სკოლის აქვს პანდუსი ორივე შენობის შემოსასვლელში. არის რესურსოთახი, რომელშიც განთავსებულია კომპიუტერი, პროექტორი და სხვადასხვა რესურსები. ასევე მოსწავლეების მიერ შესრულებული აქტივობები და რესურსები ინდივიდუალური გეგმისა და ინტერვენციის გეგმის საფუძველზე. სკოლას შემუშავებული აქვს ტრანზიციის მექანიზმი და წინასწარ გაწერილი გეგმა 2022-2023 სასწავლო წლისთვის, თუ როგორ უწყობს ხელს ადაპტაციას. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.**
ექსპერტთა რჩევაა, გაიწეროს ტრანზაციის ზოგადი პროცედურები სხვადასხვა შემთხვევებისთვის და გამოიყოს პასუხისმგებელი პირი.
3. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს თითოეული მოსწავლის აკადამიური მოსწრების გაუმჯობესებაზე. საჭიროების შემთხვევაში ხდება საკონსულტაციო საათის ჩანიშვნა. სკოლა გეგმავს რემედიაციის პროგრამის შექმნას, რომლითაც მოხდება მოსწავლეებისთვის შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა. სკოლა საჭიროების შემთხვევაში ახდენს სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას, ან მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაში მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის საფუძველზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას. **ექსპერტთა შეფასებით, მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.**

4. ვიზიტისას დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერას უწევენ მყისიერად ზეპირი მოთხოვნის საფუძველზე. ზოგიერთი სახის მხარდაჭერა ხორციელდება მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის წერილობითი საფუძველზე. მტკიცებულების სახით წარმოდგენილ იქნა მშობლის განცხადება ცნობის გამოთხოვის შესახებ, რომლის საფუძველზე დაწესებულებამ იმავე დღეს გასცა ცნობა. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.**

5. სსიპ ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ეკო და სამოქალაქო კლუბები. კლუბებს აქვთ წესდება და უძღვებიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები. ხორციელდება სასკოლო პროექტები; ბოლო ორი სასწავლო წლის განმავლობაში დაიგეგმა ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში და განხორციელდა 2 სასკოლო პროექტი, (1 პროექტი დასრულდება სასწავლო წლის ბოლოს) ასევე ხორციელდება საკლასო პროექტები, რომელიც ხელს უწყობს არაფორმალური განათლების დანერგვას. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელთა ინიციატივაც ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები. დაწესებულებამ მტკიცებულიების სახით წარმოადგინა სხვადასხვა ღონისძიების და აქტივობის განხორციელების დამადასტურებელი ფოტომასალა. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.**

6. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებით მუდმივად ხდება მოსწავლეთა ზეპირი გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც ხდება სამომავლოდ ცვლილებების განხორციელება და მომსახურების დახვეწა. დაწესებულება სოციალური ქსელის საშუალებით მიდმივად ათავსებს ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე თუ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. შესაბამისად, იღებენ მშობლებისა და მოსწავლეებისგან უკუკავშირს და ყოფილა შემთხვევები, როცა დაწესებულებას მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაუხვეწავს საქმიანობა და ცვლილება შეუტანია პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ შეიმუშაოს მოსწავლეთა და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების მექანიზმი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ტრანზიციის გეგმა;
- ფოტომასალა;
- პროექტის გეგმები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლა თანამშრომლობდა სსიპ კოლეჯი ,,ბლექსთან“ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების დანერგვის მიზნით , ა(ა)იპ-პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების „სტუდენტური და პრესტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში. სკოლა ასევე თანამშრომლობს სხვადასხვა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელთან, ეწყობა ღია კარის დღეები, მოსწავლეთა ინფორმირებულობის მიზნით. ვიზიტისას წარმოდგენილი იქნა ბლექსთან თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. **ექსპერტთა შეფასებით, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის.**
2. დაწესებულება კლასის დამრიგებლების მეშვეობით მუდმივად აწვდის კარიერული დაგეგმვის შესაძლებლობების შესახებ როგორც მშობლებს მშობლეთა კრებებზე, ასევე მოსწავლეებსაც მიეწოდებათ ინფორმაცია სადამრიგებლო საათის და ინდივიდულაური შეხვედრებისას. ასევე სკოლა თავად არის ორგანიზატორი სხვადასხვა უმაღლეს თუ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში წაიყვანოს მოსწავლეები ღია კარის დღეებზე ან წარმომადგენლები მოიწვიონ ადგილზე. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.**
3. დაწესებულებამ გამოკითხა სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ჩართული იყვნენ „ბლექსთან“ თანამშრომლობის პროცესში, პროგრამა იმდენად ეფექტური იყო, რომ სხვა მოსწავლეებმაც გამოთქვეს პროგრამაში ჩართვის სურვილი. შესაბამისად, სკოლა

კვლავაც აპირებს მიმართოს „ბლექსის“ თანამშრომლობის თხოვნით. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბლექსთან თანამშრომლობის დამადასტურებელი ფოტომასალა;
- მიმართვის ფორმა კოლეჯ „ბლექსის“ ხელმძღვანელობასთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ინფორმაციას ინლკუზიური განათლების პრინციპების შესახებ, ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა; ყოველ სსსმ მოსწავლისთვის შემუშავებულია ინდ.გეგმები, შექმნილია ისგ ჯგუფები, რომლის შემადგენლობაში შედიან: დამრიგებელი, მშობელი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები და საგნის მასწავლებლები, ისგ-ის ჯგუფები მუშაობენ კოორდინირებულად, ხდება მოსწავლეთა შეფასება, ამის საფუძველზე ისგ-ში ცვლილებების შეტანა; ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი.**
2. მთელი სასკოლო თემი არის ჩართული სსსმ მოსწავლეთა განვითარებისა და განათლების პროცესში; გარდა მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისა, სსსმ მოსწავლეთა განათლებაში ჩართული არიან: საგნის მასწავლებლები, დამრიგებლები, მშობლები , 1 ასისტენტი, 2 სპეცმასწავლებელი, რომლებიც კოორდინირებულად მუშაობენ თითოეული მოსწავლის სწავლისა და განვითარებისთვის . ისგ დგება მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების

გათვალისწინებით, მის შემუშავებაში მონაწილეობს მთელი ისგ ჯგუფი. მოსწავლის სწავლა-განვითარების პროცესის მონიტორინგში ჩართულია აქტიურად მშობელიც. მოსწავლის შეფასება ხდება მრავალმხრივად და შეფასების შედეგების გათვალისწინებით კორექტირდება ისგ. იქმნება საჭიროებისამებრ რთული მართვის გეგმა. ასევე სპეცმასწავლებლები მხარდაჭერისა და ინტეგრაციის მიზნით შიგადაშიგ ესწრებიან გაკვეთილებს. ხდება ასევე განმავითარებელი უკუკავშირების გამარტივება .ასევე წერილობით ხდება მშობლებთან უკუკავშირი სსსმ მოსწავლის მიღწევის შესახებ, სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. **ექსპერტთა შეფასებით, სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა.
- რთული ქცევის მართვის დამადასტურებელი აქტი;
- დასწრების ჩანაწერები;
- ისგ-ს ოქმები.

4.2.4 სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ბათუმის #25 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ტრანსპორტირებით, თუმცა აღნიშნული მომსახურება უფასოა და უზრუნველყოფილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ტაბელი, რომელიც დასტურდება ორივე მხარის ხელმოწერით, მომსახურების გამწევის და მიმღების მიერ. გარდა ამისა, სკოლას იჯარის სახით გაცემული აქვს ფართი და მოსწავლეებს სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ ისარგებლონ ფასიანი კარატისა და ცეკვის წრით. ასევე დაწესებულებას იჯარით აქვს გაცემული ფართი კვების ბლოკისთვის. სკოლას მიღებული აქვს ნებართვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან, რაც დასტურდება ბათუმის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის 2022 წლის 20 სექტემბრის #1123273 კორესპოდენციით. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).**

2. დაწესებულების მიერ იჯარის გაცემულ ფართში ორი ფასიანი წრე ფუნქციონირებს, რომელშიც ნებაყოფლობითია მოსწავლეთა მონაწილეობა. სკოლას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს მომსახურების გაწევის პირობებს. ორივე წრე ემსახურება მოსწავლეთა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და ხელშეწყობას და ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას. კვების ბლოკში ხელმისაწვდომია ჯანსაღი საკვები, დადგენილი ნორმების შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.**

3. დაწესებულება არ ახორციელებს ისეთ მომსახურებას, რომელიც არ არის შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების ფარგლებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- თანხმობის წერილი;
- იჯარის ხელშეკრულებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება (დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო)

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმას თან ახლავს საგნობრივი სასწავლო პროგრამები და შესაბამისი დოკუმენტი კურიკულუმის შემუშავების შესახებ,დოკუმენტში მკაფოდაა ჩამოყალიბებული, კურიკულუმის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების მეთოდოლოგია.ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარების ეტაპები. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქცია_მოვალეობები ეკისრება დირექციასა და პედაგოგებს. მასწავლებელებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. **ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.**

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და პირად ინტერვიუზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგებს აქვთ ინფორმაცია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. პედაგოგების თქმით სასწავლო წლის განმავლობაში ხდება მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება სასკოლო კათედრების სხდომებზე, ხოლო კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, ასევე, აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექციის წევრები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს.ასევე შემუშავებულია კომპლექსური დავალების ბარათებიც, რაც მიუთითებს მშობლების ჩართულობაზე.

ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესის უშუალო მონაწილენი არიან. შესაბმისად, მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების საერთო ინტერესები და ღირებულებები. აგრეთვე, სკოლა გეგმავს მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რესურსების მოდიფიცირებას, სსსმ მოსწავლეებისათვის დავალებების მოდიფიცირებას , რაც ასახული იქნება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. **ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.**

3. სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების კონკრეტული წარმომადგენლების მიერ. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესი ჩამოყალიბებულია დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში აღწერილია, როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.გამოკვეთილია რა როლი და ფუნქცია აქვს მასწავლებელს, კათედრის ხელმძღვანელსა და დირექციის წარმოამადგენლებს.

მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართულობა ამ პროცესში, აქტიური უკუკავშირი მათთან.კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რაც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მხარდამჭერ გარემოს ქმნის საინტერესო აქტივობებითა და მოსწავლეებთან პოზიტიური დამოკიდებულებით, ითვალისწინებენ მათ ინტერესებსა და თვალსაზრისებს, წაახალისებენ ინიციატივებს.

სამომავლოდ სკოლა გეგმავს , კურიკულუმის შემუშავების პროცესში უფრო მეტად ჩართოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, გამოიყენებენ ანკეტირებას/გამოკითხვას, ხოლო დაგეგმილი სასკოლო პროექტები მორგებული იქნება კურიულუმის ამოცანებსა და გრძელვადიან მიზნებზე. **ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

4. "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიასა'' და სკოლის წარმოამადგენლებთან პირადი გასაუბრების საფუძველზე, იკვეთება რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, როგორც დირექცია და პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლეები, აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და ფუნქციას. შესაბამისად, დოკუმენტი საჯაროა და მასზე თავისუფალი წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმოამდგენელს. კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებზე, სასკოლო საზოგადოებაში, მშობლებთან კომპლექსური ბარათების გაზიარება ხდება ონლაინ სივრცეში თიმსისა და მესენჯერის ჯგუფებში. **ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. საგნობრივი კურიკულუმების საფუძველზე ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებზე, ჩანს შუალედური მიზანი და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას. ეს ფაქტორები გამოიკვეთა, როგორც მუსიკის, ასევე ხელოვნების კურიკულუმებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. თემები და კომპლექსური დავალებების პირობა ისეა გაწერილი,რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და მის განვითარების საშუალებას.საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვამ არაერთგვაროვანი დასკვნის საფუძველი შეგვიქმნა. საგან “მე და საზოგადოების“ ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის ნიმუშები აგებულია თეორიული და პრაქტიკული მახასიათებლების სრული დაცვით. ის ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგვმასა და განვითარებაზე, მასში წარმოდგენილი კომპონენტები საჭირო გრაფებშია მითითებული და იძლევა შემდგომი რევიზიისა და განვითარების კარგ საშუალებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს,დაწყებით საფეხურზე, მაგალითად, საგან “ჩვენი საქართველოს“ ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებში საჭიროა ჩარევა მისი დახვეწის მიზნით.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ამოსავალია გრძელვადიანი მიზნები, ზოგადად, მოსწავლის პიროვნული განვითარება. კურიკულუმში შემოთავაზებული დავალებები, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუ აჩვენებს, რომ მოსწავლე აღიარებულია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური სუბიექტი, ცოდნის კონსტრუირების პროცესის წარმმართველი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წელს იგეგმება არსებული კურიკულუმების გადახედვა, ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და კომპლექსური დავალებების შედგენა.

კურიკულუმებში გამოკვეთილი ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალების იდეები, სასწავლო რესურსები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს გამოცდილება დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. ექსპერტთა შეფასებით, **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.**

ექსპერტთა რჩევაა, საგან "ჩვენი საქართველოს" ფარგლებში შექმნილ საგნობრივ პროგრამაში გასწორდეს ხარვეზები.

2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე ხდება, შესაბამისად, პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია მიზნობრივი ორიენტირები. თემები, კონტექსტმაგალითები (ძირითადი და დამატებითი რესურსები), საგნობრივი საკითხები აჩვენებს მიზნობრივ ნიშნულამდე მისვლის გზებს. კურიკულუმში შემოთავაზებული დავალებები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაძლებლობას ქმნის. კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სასწავლო ელექტრონული რესურსები.

თუმცა ასევე წარმოდგენილია დოკუმენტები, რომლებიც ამ ინდიკატორთან მიმართებით არაერთგვაროვანი დასკვნის საშუალებას იძლევა. საგან "მე და საზოგადოების" ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის ნიმუშებში, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტი სწორადაა შესაბამის გრაფაში განთავსებული, ასევე საჭირო ადგილასაა წარმოდგენილი სამიზნე ცნებებიც და ძირითადი საკითხებიც. რიგ შემთხვევაში გაწერილია სხვა კომპონენტებიც, როგორიცაა ძირითადი კონტექსტმაგალითი და ასევე კომპლექსური დავალების იდეა. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი სამუშაო ვერსიას წარმოადგენს და მას დასრულებული სახე, სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა მიეცეს. რაც შეეხება საგან "ჩვენი საქართველოს" ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებს, მეხუთე კლასის ფარგლებში შექმნილ ნიმუშში იკვეთება რამდენიმე მცირე უზუსტობა. ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილ დოკუმენტებში შევსებულია რამდენიმე გრაფა და ის დასრულებულ სახეს მიიღებს სასწავლო წლის დაწყებამდე, თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ სამიზნე ცნებების გრაფაში, ავტორებმა ყველა თემის ფარგლებში ერთი და იგივე სამიზნე ცნებები გაწერეს (დრო, საზოგადოება და ისტორიული მოვლენა) აღსანიშნავია, რომ

ისტორიული მოვლენა სხვა საგნის სტანდარტიც გათვალისწინებული სამიზნე ცნებაა და შეუთავსებელია საგან ,,ჩვენ საქართველოსთან''.

ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მოხდება კურიკულუმების დიფერენცირება და ამაზე დაყრდნობით კომპლექსური დავალებების შეთავაზება, სადაც მოსწავლეს შეეძლება არჩევანის გაკეთება.

ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).

ექსპერტთა რჩევაა, სწორად ჩამოყალიბდეს ჩვენი საქართველოს საგნობრივ პროგრამაში სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებები.

3. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესი უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს მოსწავლეთა საჭიროებების, ასაკობრივი თავისებურებების და ინტერესების გათვალისწინებით, რაც ვლინდება კომპლექსური დავალებების შესრულებისას, კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო თემები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკობრივ თავისებურებებს, მათ პირად გამოცდილებასა და წინარე ცოდნას, რაც დიფერენცირებული მიდგომის ერთ-ერთ მახასიათებლად შეგვიძლია მოვიაზროთ. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია შემთხვევები, რომ კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის, სკოლის ფარგლებში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც ჩართულია ყველა კათედრის წარმომადგენელი. პედაგოგებთან გასაუბრების დროს, მათ დააფიქსირეს თავიანთი მიდგომა აღნიშნული საკითხის მიმართ და განაცხადეს, რომ პედაგოგები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში, შეისწავლიან მოსწავლეთა ინდივიდუალურ ინტერესებსა და მოთხოვნებს და აძლევენ მათ საშუალებას აირჩიონ მათვის საინტერესო საკითხი, ან თუნდაც შემოქმედებითი პროდუქტი. პედაგოგების თქმით, ისინი სამომავლოდ გეგმავენ, რომ სრულად გაითვალისწინონ დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომები და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, კომპლექსური დავალებების შესრულებისას, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს მისცენ საშუალება აირჩიონ ხატვას, ძერწვასა და სხვადასხვა შემოქმედებით აქტივობას შორის.

თუმცა ფიზიკური აღზრდის საგანში წარმოდგენილ კურიკულუმების საფუძველზე ვერ მოხერხდა დადგენა, ითვალისწინებს თუ არა სასწავლო პროცესი დიფერენცირებულ მიდგომებს, მაგრამ სკოლას გადმოგზავნილი აქვს ფიზიკური აღზრდის საგანში სსსმ მოსწავლის (მე-4 კლასელის) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია მოსწავლის საგნობრივი შეფასება სასწავლო წლის დასაწყისში (მისი შესაძლებლობების აქტუალური დონე), გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები თითოეული ცნების მიხედვით, ეტაპები, აქტივობები და სასწავლო რესურსები. გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ

სკოლა მომავალში განაპირობებს სსსმ მოსწავლეების ჩართულობას ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.**

4. სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შემუშავებული რუბრიკების მოდელი.განმსაზღვრელი შეფასების შემოთავაზებული რუბრიკები (მე-5-მე-6 კლასები) მიემართება ზოგადად გრძელვადიან მიზნებს, მაგრამ კონკრეტულად საგნობრივ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არ წარმოუდგენიათ. რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებათა პირობები შეფასების კრიტერიუმებითაა დაზუსტებული კომპლექსურ დავალებათა ბარათებსა და თემატურ გეგმებში. გარდა ამისა, წარმოდგენილი აქვთ მოსწავლის თვითშეფასების ფორმა, გასასვლელი ბარათი, შეფასების ცხრილები, რომელთა საფუძველზეც შეფასების რუბრიკას შექმნიან.

ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ იყენებენ ზოგადი შეფასების სქემებს, თუმცა ძირითადად კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების სქემებით ხელმძღვანელობენ. აგრეთვე,პირისპირ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ იყენებენ მოსწავლეთა შეფასებას მოსწავლის საქაღალდით (პორტფოლიოთი). გამომდინარე აქედან დასტურდება, რომ შეფასების რუბრიკის შედგენის პრინციპი და მიზანი მათთვის გასაგებია და აქვთ პოტენციალი, ეტაპობრივად შექმნან კიდეც.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ნაწილში, კონკრეტული დოკუმენტები სკოლას არ შემოუთავაზებია. შესაბამისად ამ ინდიკატორზე,მათი განცხადებით, პირადი გასაუბრებისას, მოსწავლეთა შეფასებისას, იქნება ეს განმსაზღვრელი, თუ განმავითარებელი შეფასების მოდელი, ისინი ეყრდნობიან საგნობრივ სტანდარტებში გაწერილ შეფასების ინდიკატორებს. რაც შეეხება ფიზიკურ აღზრდას, ამ ეტაპზე პედაგოგები იყენებენ სიტყვიერ განმავითარებელ შეფასებას, მათ არ აქვს შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები,მაგრამ ინტერვიუს დროს გამოჩნდა მასწავლებლების მზაობა მომავალში გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშავონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რადგან წერილობით კომენტარები დაეხმარებათ მათ თითოეული ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე უფრო სიღრმისეული წარმოდგენის შექმნაში და მისი პროგრესის დაფიქსირებაში.ამრიგად, სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეფასების რუბრიკების შემუშავებას მოსწავლეებთან ერთად მათი აკადემიური დონის და ინტერესების გათვალისწინებით. **ექსპერტთა შეფასებით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.**

5. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, ყოველი ახალი თემის შედგენისას ეყრდნობიან მოსწავლეთა საჭიროებებს. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას. მასწავლებლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება. სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღწერილია კურიკულუმის შექმნის პროცესი, რომელშიც ჩანს, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეების აქტუალურ ზონას და ჩატარებული აქტივობებიდან მიღებული გამოცდილების მასწავლებლებს

აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი. ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია განხორციელებული სამუშაოების შეფასება, რომლესაც გამოიყენებენ სასკოლო კურიკულუმის დასახვეწად. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი პროგრამები;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილია მრავალფეროვანი და პრაქტიკული შინაარსის თემატური ბლოკები, განხორციელებულია სოციალური პროექტი, შექმნილია კითხვის წრე, რაც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; კურიკულუმებში შემოთავაზებულია კომპლექსური დავალებები, რაც მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის პირობას ქმნის. კომპლექსური დავალებები, საინტერესო კონტექსტმაგალითები და მრავალფეროვანი რესურსი მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას იძლევა. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პოზიტიურ საკლასო კლიმატს ქმნიან საინტერესო აქტივობებითა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მათი ინიციატივების წახალისებით. მაგალითად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმში გაწერილი, როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, გასართობი თამაშები ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის და ხელბურთის ელემენტებით, ლაშქრობა) და თეორიული (ჰიგიენა, ჯანსაღი კვება) შინაარსის თემები, იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლა გეგმავს დაწყებით საფეხურზე სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მოწყობას, სადაც აქტიურად იქნებიან ჩართულები მოსწავლეებთან ერთად მშობლები.აგრეთვე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლები წლის განმავლობაში რამდენჯერმე გეგმავენ და ახორციელებენ სასკოლო ღონისძიებებს,რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები.

თუმცა,ასევე უნდა აღინიშნოს, საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების ფარგლებში, კურიკულუმის ნიმუშები,რომლებიც, მართალია,სრული ფორმით არ არის წარმოდგენილი, სექტემბრამდე დასრულებულ ფორმას მიიღებს, მკაფიო წარმოდგენას ვერ გვიქმნის, რომ აღნიშნულ ინდიკატორს ზუსტი პასუხი გაეცეს. აღნიშნულ საგნებში წარმოდგენილ კურიკულუმის ნიმუშებში გაწერილია ძირითადი საგნობრივი საკითხები, თუმცა თითქმის არ გვაქვს კომპლექსური დავალებები და ძირითადი კონტექსტმაგალითები, რომლებზე დაკვირვებაც, მოგვცემდა საშუალებას განგვესაზღვრა, იძლევა თუ არა აღნიშნული დოკუმენტი, მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის კარგ შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს პედაგოგმა განაცხადა, რომ ის აქტიურად ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს, თუმცა მისი შედეგებისა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის შესახებ მკაფიო წარმოდგენა ვერ შეგვიქმნა.

მიუხედავად ამისა, საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად ეფუძნება იმ ტიპის დავალებებს, რომელთა მოთხოვნებიც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას, მის შემოქმედებით მუშაობას. წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. დასტურდება

ინდიკატორთან შესაბამისობა. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.**

2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. მოცემული დოკუმენტაცია გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ,რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კომპლექსურმა დავალებამ მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება უნდა უზრუნველყოს, რისთვისაც მნიშვნელოვანია მისი პირობის ადაპტირება მოსწავლეების ინტერესებთან და შესაძლებლობებთან. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს- პრინციპებით - ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია. საზოგადოებრივი მეცნიერების კურიკულუმის დოკუმენტაციაში ის კონკრეტული გრაფა, რომელიც ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებასა და წინარე ცოდნის, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებას ემსახურება, ჯერ შევსებული არ არის. თუმცა სკოლის თვითშეფასებაში, წარმოდგენილია ის გზა, როგორ აპირებს სკოლა ამ ინდიკატორს მიუსადაგოს სასწავლო პროცესი. მათი გეგმით, კომპლექსურიდან - კომპლექსურამდე, უწყვეტი სვლა, ამ საკითხს მოაგვარებს. **ექსპერტთა შეფასებით, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.**

3. ინტერვიუდან, წარმოდგენილი მეთოდოლოგიური დოკუმენტაციიდან, ჩანს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოსწავლეს შეუძლია მეტაკოგნიტური უნარების გამომუშავება, რაც სამომავლოდ გაზრდის მოსწავლეთა თვითშეფასებას. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე და ისეთ აქტივობებზე, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს დაკვირვებას, ვარაუდის გამოთქმას, დასკვნის გაკეთებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზებს. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ეს პროცესი გახდეს უწყვეტი, ისეთი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები შეირჩეს, რომლებიც სწავლის სწავლაზე იქნება ორიენტირებული, სადაც მოსწავლეები თვითონ იქნებიან შემოქმედები და მოახდენენ საკუთარი ცოდნის კონსტრუირებას, მასწავლებელი კი გაუწევს ფასილიტატორობას.

კურიკულუმებში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. მნიშვნელოვანია,რომ დაწყებით საფეხურზე განხორციელებული სოციალური პროექტი, რომელშიც მოსწავლეებს უწევთ მსჯელობა მათ გამოცდილებაზე, ინტერესებზე, პრობლემის იდენტიფცირებასა და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. წარმოდგენილია თემატური მატრიცა,

რომელშიც მოსწავლეებს უწევთ მათ მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.**

4. წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ , რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).
კურიკულუმის ჩარჩოსა და პედაგოგთა პირადი ინტერვიუს უკუკავშირის მიხედვით გამოიკვეთა, რომ შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. მოსწავლეები არა მხოლოდ ფაქტობრივ მასალას ეცნობიან და ამუშავებენ, არამედ მიღებული ცოდნის ინსტრუმენტად გამოყენება უწევთ სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ამის პირობას ქმნის.
ცოდნის კონსტრუირებისთვის მნიშვნელოვანია თემატურად სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი. თუმცა, ფიზიკური აღზრდის კურიკულუმებში არ არის მოცემული ინფორმაცია იმ აქტივობებზე, სადაც გამოჩნდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). იმისათვის რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა კათედრამ მასში ჩააშენოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას. ასევე არცერთი საგნის პროგრამა არ მოიცავდა დანართებს, რომლებზე დაყრდნობითაც მოხდებოდა გაანალიზება, რამდენად წარიმართებოდა პროცესი ინდიკატორის მოთხოვნის შესამისად. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**
დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს*(01/09/2023-17/09/2023)*, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს საგნობრივი პროგრამის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.

5. ინტერვიუდან და თვითშეფასების დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავალებები და სხვადასხვა სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რომელიც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას. ასევე,სამომავლოდ იგეგმება იმ უნარების განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად საჭიროა გამოწვევებთან გამკლავებისას და პროდუქტის შექმნისას, ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნისათვის. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კურიკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით.

სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მართალია, კურიკულუმებში არ არის გაწერილი მომავალი სასწავლო წლისთვის ინტეგრირებული დავალებები, მაგრამ ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. გამოიკვეთა პრობლემა საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმშიც, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ამ ინდიკატორის სრულფასოვანი შეფასების საშუალებას არ იძლევა. რადგან შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კი ხელი ეწყობა კომპლექსური დავალებების საშუალებით, შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. თვითშეფასების დოკუმენტში, სკოლის წარმოამდგენლები საუბრობენ, რომ მათ მიერ განხორციელებული აქტივობები ამ თვალსაზრისით ნაკლებად შედეგიანი აღმოჩნდა და მომავალი სასწავლო წლისათვის შექმნილი კურიკულუმები მეტად ეფექტური იქნება მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. რადგანაც სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი არ არის სრულყოფილი არცერთ საგნებში, ვერ ხერხდება ანალიზი როგორ ხდება მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს სთავაზობენ პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ დავალებებს, გამოწვევასთან გამკლავება კი ცოდნათა ინსტრუმენტალიზაციის, ცოდნათა ორგანიზების აუცილებლობას განაპირობებს. ექსპერტთა შეფასებით, **აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს*(01/09/2023-17/09/2023)*, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) საგნობრივი პროგრამის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი პროგრამები;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი კლასების კურიკულუმებში სამიზნე ცნებებია მიჩნეული მიზნობრივ ორიენტირებად. შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებები განიხილება და მასში ასახული შეფასების კრიტერიუმები სამიზნე ცნებათა მკვიდრ წარმოდგენებს მიემართება. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქტიურად არის ჩართული მოსწავლე შეფასების პროცესში (თვითშეფასება), რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეებს გააზრებული აქვთ საგაკვეთილო პროცესის მიზანი.
კურიკულუმის ჩარჩოებში და ინტერვიურებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; ხელოვნებასა და მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნობრივი საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.
დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ უცხო ენის კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებები , ქვეცნებები , ჩანს თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც წარმოადგენს მთავარ ორიენტირს სწავლა-სწავლების პროცესში.
საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში, შესაბამის ადგილასაა წარმოდგენილი სამიზნე ცნებები. საგან "მე და საზოგადოების" ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის ნიმუშებში, სამიზნე ცნებები სწორადაა გაწერილი და ძირითად საკითხებთან შესაბამისობაც მკაფიოა. რაც შეეხება საგან "ჩვენი საქართველოს" ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებს, მეხუთე კლასის ფარგლებში შექმნილ ნიმუშში იკვეთება რამდენიმე მცირე უზუსტობა. ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილ დოკუმენტებში შევსებულია რამდენიმე გრაფა და ის დასრულებულ სახეს მიიღებს სასწავლო წლის დაწყებამდე, თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ სამიზნე ცნებების გრაფაში, ავტორებმა ყველა თემის ფარგლებში ერთი და იგივე სამიზნე ცნებები გაწერეს (დრო, საზოგადოება და ისტორიული მოვლენა) აღსანიშნავია, რომ ისტორიული მოვლენა სხვა საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებაა და შეუთავსებელია საგან ჩვენ საქართველოსთან. მეექვსე კლასის დოკუმენტი, ამ თვალსაზრისით ზუსტადაა აგებული და მასში ვლინდება სამიზნე ცნებებისა და გვერდითა გრაფაში გაწერილი ძირითადი საკითხების იდეური თანხვედრა.

სკოლის ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტოვობების გააზრებაში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია მივიჩნიოთ მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.**

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული თემატური ბლოკები და შერჩეული საგნობრივი საკითხები მიმართულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალურ განვითარებისკენ. დაწყებით საფეხურზე განხორციელებული სოციალური პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერების და ურთიერთობის უნარების განვითარებას.

კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას გაითვალისწინეს მოსწავლის განვითარების დონე და ამის შესაბამისად გაამარტივეს დავალებები. კურიკულუმებში შემოთავაზებულია კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეებს გამოწვევებთან გამკლავება მოუწევთ, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს.

სასწავლო პროცესში სხვადასხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება, ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

დაწყებითების საფეხურის საგან ,,მე და საზოგადოების'' ფარგლებში შექმნილ დოკუმენტში გათვალისწინებულია ისეთი შინაარსისა და აქტივობების შემცველი კომპლექსური დავალებები, რომლებიც საგნობრივ კონტექსტებთან ერთად ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კომპლექსურ დავალებაში მოაზრებულია სოციალური ხასიათის აქტივობები და ასევე თანამშრომლობაზე დაფუძნებული მუშაობის ტიპები.

მაშასადამე,კურიკულუმში წარმოდგენილი დავალები, პროექტები და სხვადასხვა აქტივობები ეხმარება მოსწავლის პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაში, ემოციების მართვაში. ასეთი მეთოდებით მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს. ექსპერტთა შეფასებით, **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლეს ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია და სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილად არის გააზრებული,ეს ყოველივე ინტერვიუებით გამოიკვეთა. შეფასების პროცესში აქტიურადაა ჩართული მოსწავლე, ეს კი მოსწავლის მიერ სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასებასა და მის მიერ გააზრებული ნაბიჯების გადადგმას განაპირობებს, რაც მოსწავლის პიროვნულ განვითარებას ემსახურება. მასწავლებელთა მიერ გააზრებულია შეფასების სადიაგნოსტიკო ფუნქცია, ის, რომ შეფასება მოსწავლეს აჩვენებს გზას სწავლის პროცესში და მის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. აგრეთვე, ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხორციელდება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით.

თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი და ემსახურება საგნობრივი საკითხების შემოწმებას. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში ასევე გამოიყენება სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას. სკოლა გამოხატავს მზაობას რომ სამომავლოდ შემუშავდეს რუბრიკები, რომელიც ორიენტირებული იქნება ჰოლისტური შეფასების მხარდაჭერაზე.

ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ ჩანს ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად იყენებს თუ არა სკოლა ისეთ ინსტრუმენტებს როგორიცაა მოსწავლისა და მასწავლებლის პორტფოლიო, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი , დიაგნოსტიკური შეფასება.

სკოლას არ აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების არც სხვა საგნებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე მასწავლებლები იყენებენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. **ექსპერტთა შეფასებით,აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს*(01/09/2023-*

17/09/2023), პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს შეფასების სისტემის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.

4. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა საშუალებას, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი-რასაც ადასტურებს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, სადაც გამოიკვეთილია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები.

დაწყებით საფეხურზე სკოლას აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენების გამოცდილება. წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს.

თემატური გეგმებიდან აქვთ შერჩეული კომპლექსურები, რომელთა აუცილებელ კომპონენტს შეფასების კრიტერიუმები შეადგენს. მოსწავლეებისთვის თავიდანვე ამ კრიტერიუმების შეთავაზება შეფასების სისტემის სანდოობასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მოსწავლე აქტიურადაა ჩართული კრიტერიუმების შემუშავების, განხილვის პროცესში, რაც შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

განსხვავებით სხვა საგნებისაგან,საზოგადოებრივი მეცნიერებებში არ არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა მკაფიო დასკვნა. გვიწევს ვისარგებლოთ ინტერვიუს დროს პედაგოგთა უკუკავშირით, მათი განცხადებით შეფასების რუბრიკები იქმნება საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და წინასწარ უზიარდება სასკოლო საზოგადოების წევრებს, არის საჯარო და გამჭირვალე, ასევე ემყარება სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს. ასევე სხვა საგნის ფარგლებში წარმოდგენილი ნიმუშებით. სკოლაში არსებობს შეფასების სისტემა, თუმცა მისი მკაფიოობის, სანდოობისა და ობიექტურობის განსაზღვრა, წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით რთულია.

სკოლა გამოხატავს მზაობას რომ სამომავლოდ დახვეწავენ რუბრიკებს , რომლის საფუძველზეც შეფასების სისტემა იქნება უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სანდო. ექსპერტთა შეფასებით, **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**

5. ინტერვიურებამ აჩვენა, რომ სკოლას გააზრებული ჰქონდა ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობის მნიშნელობა და გამოთქვეს მზაობა დაიგეგმოს ჯგუფი, რომელიც ამ მიმართულებით იმუშავებს აღნიშნულ საკითხზე.
ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ შეფასების რუბრიკების შემუშავება ხდება კათედრაზე ერთობლივად, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, თუმცა ეს სრულიად ვერ ასახავს სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობას. ვერიფიკაციისათვის სკოლა არ იყენებდა მოსწავლის ნამუშევრებს, არ ახდენდაშეფასების განხილვასა და ანალიზს, ასევე არ აფასებდა პორტფოლიოებს .
ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.
დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს*(30/09/2023-25/12/2023)*, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**
მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(30/09/2023-25/12/2023) უზრუნველყოს ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.

6. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებები განთავსებულია სკოლის onedrive-ზე, ასევე გვხვდება ნაწილობრივ მატერიალური სახით. თუმცა ეს მასალა სრულად ვერ ასახავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებებს. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოების, პორტფოლიოების შენახვის უზრუნველყოფას 3 წლის ვადით. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული დოკუმენტი, რომელშიც

გაწერილი იქნებოდა მტკიცებულებების აღრიცხვის პროცედურა, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და შენახვის ვადად განსაზღვრულია 3 წლიანი პერიოდი .

სკოლა მიმდინარე საკითხს ამუშავებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**
ექსპერტთა რჩევაა, ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებისას მტკიცებულებების შენახვის ვადად გაიწეროს არანაკლებ 3 წელი.

დასტურდება (მტკიცებულებები):
- ✓ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები;
- ✓ განმსაზღვრელი, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ✓ თვითშეფასების ფორმა;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სკოლის მისია, სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით კონკრეტული სკოლისათვის შექმნილია საათობრივი ბადე, მოსწავლის აკადემიური მიღწევების

შეფასების სისტემა , საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ რეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების გათვალისწინება. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. ხდება სსსმ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება, პროექტებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობა მხარდაჭერილია. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.**

2. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებენ მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს, წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა , ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, მოსწავლეები ჩართულები არიან აქტივობების დაგეგმაში. დაწყებით საფეხურზე განხორციელებული სოციალური პროექტი, სკოლაში არსებული წრე , ამტკიცებს იმას რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. მასწავლებლები ორიენტირებულები არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემები, თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები, „მე და საზოგადოების“ ფარგლებში კომპლექსური დავალებები, ხოლო „ჩვენი საქართველოს“ ფარგლებში ძირითადი საკითხები, რომელთა საფუძველზეც სექტემბრამდე იგეგმება კომპლექსური დავალებების გაწერა, შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. საჭიროების შემთხვევაში სკოლა შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, წაახალისებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებში მონაწილეობას. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.**

3. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლაში ხორციელდება ურთიერდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. სამომავლოდ სკოლა გეგმავს სასკოლო თემის გააქტიურებას და ჩართვას სკოლის განვითარებაში.გეგმავენ, რომ მასწავლებელთა შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა ,რომელშიც ჩართულია პედაგოგები ყველა საგნობრივი კათედრიდან.
წარმართულ ინტერვიუებზე გამოჩნდა ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია კათედრის წევრებს შორის. აღნიშნულ იქნა გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობითი კულტურის შესახებ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.**

4. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ დაცულია მოსწავლეთა და მასწავლებელთა უფლებები და შექმნილია პოზიტიური და უსაფრთხო გარემო სკოლაში. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დისციპლინების კურიკულუმების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საგან "მე და საზოგადოების" ფარგლებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, ასევე სხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობები, ატარებს ისეთ ხასიათს, რომ უზრუნველყოს საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება და მოსწავლეთა ჩართულობის წახალისება. მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს სკოლაში პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას. **ექსპერტთა შეფასებით, უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. სკოლასდაზუსტებული აქვს სასკოლო საზოგადოების ფუნქცია_მოვალეობები, კურიკულუმის განვითარების პროცესში. ასევე დეტალურად არის გამოკვეთილი რომელმა რესურსმა იმუშავა და რა იყო გამოწვევა, რა იყო საინტერესო და გასაუმჯობესებელი.აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივი კათედრები და დირექციის წარმომადგენლები.სკოლის ფარგლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე, სკოლის ინსტიტუციურ განვითარებასა და მოსწავლეთა შედეგებისა და პროგრესის დიაგნოსტირებაზე. აღნიშნული საკითხები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სასკოლო კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. **ექსპერტთა შეფასებით, მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**
2. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და უკუკავშირი. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.
კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში იკითხება , რომ მოხდება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, რადგან ეს ხელს შეუწყობს მათი გამოცდილების, სურვილების, იდეების, დაკვირვების შედეგების, მოსაზრებების გათვალისწინებას, რაც მათ მხარდაჭერასა და დახმარებას მოიაზრებს.სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგი და შეფასების პროცესი დაფუძნებული იყოს კვლევებზე.ეს პროცესი, თავისთავად მიმართულია სასკოლო საზოგადოების წევრთა პროფესიულ განვითარებაზე და შიდა სასკოლო თანამშრომლობის ხარისხის გაზრდაზე. **ექსპერტთა შეფასებით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.**

3.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების კონკრეტული წარმომადგენლების საჭიროებების დადგენას და მათ დახმარებას. ასევე პედაგოგთა პროფესიული საქმიანობის დროს ხარვეზების გამოვლენასა და იდენტიფიცირებას,მათი აღმოფხვრის მექანიზმების შემუშავებას. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის

საფუძველზეც მოხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, და ეს მოგვცემს საშუალებას გამოვლენილი პრობლემის გადაჭრისა.

სკოლა გეგმავს . მონიტორინგის შედეგების ანალიზისა და დასკვნის საფუძველზე, პრევენციისა და ინტერვენციის საშუალებით დასახოს პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები. ექსპერტთა შეფასებით, **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდლოგიით განსაზღვრულია მონიტორინგი და შეფასება სამი მიმართულებით. მოცემული ინსტრომენტებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის შეფასებისას ხდება მოსწავლეთა დიაგნოსტირების გზით პროგრესის გაზომვა. ასევე იგეგმება და მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების და კურიკულუმების შეფასება. **ექსპერტთა შეფასებით, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.**

2. სკოლა გეგმავს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება. ასევე ინტერვიუზე დაყრდნობით, რომელიც მოსწავლის მრავალგვარი შესაძლებლობის შეფასების საშუალებას იძლევა, ასევე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ხდება, სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით.

კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას.საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც განხხორციელდება შესაბამისად. სკოლა სამომავლოდ განახორციელებს შეფასების ისეთ რუბრიკებს, სადაც გათვალისწინებული იქნება, მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინდივიდუალური საჭიროებები. **ექსპერტთა შეფასებით, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.**

3. შეფასებისას, მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხდება კათედრებზე, პარალელურ კლასისა და საგანის მასწავლებლებისაგან, სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახული იყო რომ შეფასების პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მეთოდები.საზოგადოებრივ მეცნიერებებასა და ესთეტიკაში შეფასების მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები ნაკლებად ჩანდა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევე ინტერვიუშიც,თუმცა სკოლა სამომავლოდ გეგმავს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდების დანერგვას, წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არ იყო გაწერილი რა ტიპის მეთოდების გამოყენება იგეგმებოდა. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს(*01/09/2023-17/09/2023)*, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს შეფასების ინსტრუმენტების ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.

4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების

მიზნით. სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსებს წვდომასა და სხვა ფაქტორებზე. **ექსპერტთა შეფასებით, შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი დეტალურადაა წარმოადგენილი დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მომხდარიყო კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებისა და სკოლის წარმოამადგენელთა განცხადებით, სკოლა კურიკულუმის განვითარების მიზნით მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.**

2. კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, ასევე თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილია, კურიკულუმში განხორციელებული რევიზიის კონკრეტული მაგალითები. კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. **ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება (საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო)

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმას თან ახლავს საბაზო საფეხურის საგნობრივი სასწავლო პროგრამები და შესაბამისი დოკუმენტი კურიკულუმის შემუშავების შესახებ,დოკუმენტში მკაფოდაა ჩამოყალიბებული, კურიკულუმის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების მეთოდოლოგია.ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარების ეტაპები. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქცია_მოვალეობები ეკისრება დირექციასა და პედაგოგებს. მასწავლებელებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. **ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.**

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და პირად ინტერვიუზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგებს აქვთ ინფორმაცია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. პედაგოგების თქმით სასწავლო წლის განმავლობაში ხდება მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება სასკოლო კათედრების სხდომებზე, ხოლო კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, ასევე, აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექციის წევრები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს.ასევე შემუშავებულია კომპლექსური დავალების ბარათებიც, რაც მიუთითებს მშობლების ჩართულობაზე.

ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესის უშუალო მონაწილენი არიან. შესაბმისად, მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების საერთო ინტერესები და ღირებულებები. აგრეთვე, სკოლა გეგმავს მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რესურსების მოდიფიცირებას, სსსმ მოსწავლეებისათვის დავალებების მოდიფიცირებას , რაც ასახული იქნება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. **ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.**

3. სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების კონკრეტული წარმომადგენლების მიერ. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესი ჩამოყალიბებულია დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში აღწერილია, როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.გამოკვეთილია რა როლი და ფუნქცია აქვს მასწავლებელს, კათედრის ხელმძღვანელსა და დირექციის წარმოამადგენლებს.

მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართულობა ამ პროცესში, აქტიური უკუკავშირი მათთან.კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რაც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მხარდამჭერ გარემოს ქმნის საინტერესო აქტივობებითა და მოსწავლეებთან პოზიტიური დამოკიდებულებით, ითვალისწინებენ მათ ინტერესებსა და თვალსაზრისებს, წაახალისებენ ინიციატივებს.

სამომავლოდ სკოლა გეგმავს , კურიკულუმის შემუშავების პროცესში უფრო მეტად ჩართოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, გამოიყენებენ ანკეტირებას/გამოკითხვას, ხოლო დაგეგმილი სასკოლო პროექტები მორგებული იქნება კურიულუმის ამოცანებსა და გრძელვადიან მიზნებზე. **ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

4. "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიასა'' და სკოლის წარმოამადგენლებთან პირადი გასაუბრების საფუძველზე, იკვეთება რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, როგორც დირექცია და პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლეები, აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და ფუნქციას. შესაბამისად, დოკუმენტი საჯაროა და მასზე თავისუფალი წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმოამდგენელს. კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებზე, სასკოლო საზოგადოებაში, მშობლებთან კომპლექსური ბარათების გაზიარება ხდება ონლაინ სივრცეში თიმსისა და მესენჯერის ჯგუფებში. **ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. საგნობრივი კურიკულუმების საფუძველზე ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგებზე, ჩანს შუალედური მიზანი და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას.სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ამოსავალია გრძელვადიანი მიზნები, ზოგადად, მოსწავლის პიროვნული განვითარება. „მოსწავლე სუბიექტის“ პარადიგმა იკითხება კურიკულუმში. შემოთავაზებული დავალებები, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუ აჩვენებს, რომ მოსწავლე აღიარებულია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური სუბიექტი, ცოდნის კონსტრუირების პროცესის წარმმართველი. საბაზო საფეხურზე უცხო ენაში წარმოდგენილია კურიკულუმები, თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალებების იდეები, სასწავლო რესურსები რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. წარმოდგენილია მოდიფიცირებული კურიკულუმი, რომლის მოდიფიცირებაც განხორციელდა წინა სასწავლო წლის გამოცდილების საფუძველზე.
ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფიზიკური აღზრდა და სპორტი საბაზო საფეხურის 7- 9 კლასის კურიკულუმის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ: გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კოპლექსური დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის მიღწევისა და ჯანსაღი ცხოვრების

წესის პრინციპების დანერგვას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წელს იგეგმება არსებული კურიკულუმების გადახედვა, ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და კომპლექსური დავალებების შედგენა. სკოლას მიეცა რჩევა, გაამრავალფეროვნოს ელექტრონული რესურსები, რადგანაც საბაზო საფეხურზე ჯანსაღი ცხოვრების თემის ფარგლებში კურიკულუმებში მოცემულია იგივე პრეზენტაციის ლინკი, რაც დაწყებით საფეხურზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვამ კი არაერთგვაროვანი დასკვნის საფუძველი შეგვიქმნა. საგან "გეოგრაფიაში" შექმნილი კურიკულუმის ნიმუშები აგებულია თეორიული და პრაქტიკული მახასიათებლების სრული დაცვით. ის ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგვმასა და განვითარებაზე, მასში წარმოდგენილი კომპონენტები საჭირო გრაფებშია მითითებული და იძლევა შემდგომი რევიზიისა და განვითარების კარგ საშუალებას, კურიკულუმის ნიმუშები შევსებულია სრულად და მასში წარმოდგენილია დოკუმენტით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი, მაგ. ძირითადი კონტექსტმაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა. რაც შეეხება საგან "ისტორიაში" შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებს, მეტად საჭიროა ჩარევა მისი დახვეწის მიზნით. აქ წარმოდგენილია ზოგიერთი კომპონენტი და დასრულებული სახით შევსებული დოკუმენტები ჯერ არ შეუმუშავებიათ პედაგოგებს. რაც შეეხება საგან ,,მოქალაქეობას'', აქ წარმოდგენილი დოკუმენტები, მსგავსად ისტორიისა შევსებულია ნაწილობრივ და დასრულებულ ფორმას სასწავლო პროცესის დაწყებამდე მიიღებს.

მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. თემები და კომპლექსური დავალებების პირობა ისეა გაწერილი,რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და მის განვითარების საშუალებას.

სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რაც ცალსახად შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად. კურიკულუმში გაწერილი საგანმანათლებლო აქტივობები შეიძლება ჩაითვალოს როგორც მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაზე ორიენტირებული. მომავლი სასწავლო წლისთვის სკოლა მოიაზრებს , რომ გააუმჯობესოს ეს პროცესები, კომპლექსური დავალებები ორიენტირებული იქნება გრძელვადიან სამიზნე ცნებაზე, თემიდან თემაზე, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება, აქცენტი იქნება გადატანილი სწავლის სწავლაზე, დაიგეგმება პროექტები, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა ინტერესები და შემოქმედებითი უნარები.ბუნებისმეტყველების ფარგლებში წარმოდგენილია ფიზიკის, ქიმიის ,ბიოლოგიის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები. სადაც სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხების საშუალებით თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, როგორც გრძელვადიანი მიზანი. განსაზღვრულია ძირითადი საკითხების კასტერები, კონტექტ მაგალითები, კომპლექსური დავალებიის იდეა და მაგალითები შედარებისთვი აგრეთვე სასწავლო რესურსები კომპლექსური დავალებებისათვის. წარმოდგენილია განხორციელებული სასკოლო პროექტი, „ გარემოს დაცვა" , რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული და სოციო-ემოციური

განვითარებას, ზრდის მოტივაციას და ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტში მოსწავლეთა აქტიური და თანასწორი ჩართულობის საშუალებას იძლევა.

სკოლაში ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს ეკოკლუბი და წრე, რომელშიც გაწევრიანებული არიან საბაზო საფეხურის მოსწავლეები. სკოლის მიერ წარმოადგენილია ეკოკლუბის გეგმა, სადაც ასახულია მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს საკმარისი მზაობა , გამოცდილება და ხედვა, წარმატებით დაგეგმოს და განავითაროს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი. **ექსპერტთა შეფასებით, შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.**

2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე ხდება, შესაბამისად პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები,კომპლექსური დავალების იდეები, წარმოდგენილია ძირითადი კონტექსტ-მაგალითი, მაგალითი შედარებისთვის , რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს რომ სკოლას აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებების გამოცდილებაზე დაფუძნებული მზაობა.

კურიკულუმში სამიზნე ცნებების სახით (ზოგიერთ კლასში დაზუსტებულია ქვეცნებებით) განსაზღვრულია მიზნობრივი ორიენტირები. თემები, კონტექსტმაგალითები (ძირითადი და დამატებითი რესურსები), საგნობრივი საკითხები აჩვენებს მიზნობრივ ნიშნულამდე მისვლის გზებს. კურიკულუმში შემოთავაზებული დავალებები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაძლებლობას ქმნის. პროექტული ტიპის დავალებები ხელს უწყობს მოსწავლის შემოქმოქმედებითი, სოციალური, თანმშრომლობითი და სხვა უნარების განვითარებას.

საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოდგენილი დოკუმენტები, ამ ინდიკატორთან მიმართებითაც არაერთგვაროვანი დასკვნის საშუალებას იძლევა. საგან ,,გეოგრაფიაში'' შექმნილი კურიკულუმის ნიმუშებში, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტი სწორადაა შესაბამის გრაფაში განთავსებული, ასევე საჭირო ადგილასაა წარმოდგენილი სამიზნე ცნებებიც და ძირითადი საკითხებიც. უმეტეს შემთხვევაში გაწერილია სხვა კომპონენტებიც, როგორიცაა ძირითადი კონტექსტ მაგალითი და ასევე კომპლექსური დავალების იდეა. რაც შეეხება საგან ,,ისტორიას'', პედაგოგებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მნიშვნელოვანია სავალდებულო სასწავლო თემების სწორი დასახელებებით წარმოჩენა შესაბამის გრაფაში, შეუძლიათ იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით. ასევე ისტორიასა და მოქალაქეობის კურიკულუმების ბოლომდე

შევსებისას, პედაგოგებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მნიშვნელოვანია თითოეული სავალდებულო სასწავლო თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს. შემოთავაზებულ ნიმუშებში, შესაბამის გრაფაში გაწერილია სამიზნე ცნებების არასრული რაოდენობა.

სკოლა სამომავლოდ გეგმავს კურიკულუმის დაგეგმვის პროცესის დროს სრულად დაფაროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით განხორციელდეს სასკოლო პროექტები, რომელიც მიმართული იქნება გლობალური და ფუნქციური უნარის განვითარებისკენ.

ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).

3. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. საბაზო საფეხურზე შემუშავებულია მოსწავლეთა საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მათში ასახულია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები, რაც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მოსწავლის მხარდამჭერ გარემოს ქმნის საინტერესო აქტივობებითა და მოსწავლეებთან პოზიტიური დამოკიდებულებით, ითვალისწინებს მათ ინტერესებსა და თვალსაზრისებს, წაახალისებს მათ ინიციატივებს.სკოლა მომავალში უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნა და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, მომავალში სასურველია ნათლად აისახოს სასწავლო გეგმებში და მოსწავლეების საჭიროებებისადმი ჩაშენებული იყოს კომპლექსურ დავალებებში რაც უზრუვნელყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცეში.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია შემთხვევები, რომ კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის, სკოლის ფარგლებში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც ჩართულია საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წარმომადგენელი პედაგოგიც. პედაგოგებთან გასაუბრების დროს, მათ დააფიქსირეს თავიანთი მიდგომა აღნიშნული საკითხის მიმართ და განაცხადეს, რომ პედაგოგები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში, შეისწავლან მოსწავლეთა ინდივიდუალურ ინტერესებსა და მოთხოვნებს და აძლევენ მათ საშუალებას აირჩიონ მათვის საინტერესო საკითხი, ან თუნდაც შემოქმედებითი პროდუქტი.

ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მოხდება კურიკულუმების დიფერენცირება და ამაზე დაყრდნობით კომპლექსურ დავალებების შეთავაზება, სადაც მოსწავლეს შეეძლება არჩევანის გაკეთება. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი, (მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების ანალიზის) რომლებიც გამოიყენება კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ეტაპების სწორად წარმართვისათვის და ეფუძნება საგნობრივ კურიკულუმებს.ქართულ ენასა და ლიტერატურაში სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არ წარმოუდგენიათ. რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს შეაფასების კრიტერიუმებს, რაც განმავითარებელი შეფასების რუბრიკას ქმნის, თუმცა კურიკულუმში აღნიშნული კომპლექსური დავალებების დანართები არ წარმოუდგენიათ. მათ შექმნას მომავალი წლის სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე გეგმავენ. რაც შეეხება მოსწავლის ჩართვას შეფასების პროცესში, ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ აღინიშნა, რომ აქტიურად რთავენ შეფასების პროცესში მოსწავლეს, მიმართავენ როგორც მოსწავლეთა თვითშეფასებას, ისე ურთიერთშეფასებას. გააზრებულია შეფასების სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა.

ფიზიკურ აღზრდაში ინტერვიუს დროს გამოჩნდა მასწავლებლების მზაობა მომავალში გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საზოგადოებრივი მეცნიერებების ნაწილში, კონკრეტული დოკუმენტები სკოლას ასევე არ შემოუთავაზებია. შესაბამისად, ამ ინდიკატორზე მსჯელობისას ვეყრდნობი პირადი გასაუბრებისას პედაგოგთა უკუკავშირს. მათი განცხადებით, მოსწავლეთა შეფასებისას, იქნება ეს განმსაზღვრელი, თუ განმავითარებელი შეფასების მოდელი, ისინი ეყრდნობიან საგნობრივ სტანდარტებში გაწერილ შეფასების ინდიკატორებს.სკოლას გამოთქვამს მზაობას შეიმუშავონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები.

ექსპერტთა შეფასებით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

5. წარმოდგენილი კურიკულუმები თემატურ დაგეგმვას ემყარება, რაც იმის პირობას იძლევა, რომ ნაცნობ კონტექსტებს აფუძნებენ ახალ ცოდნას, ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მომავალი წლის კურიკულუმის დაგეგმვისას გაითვალისწინეს წარმატებული გამოცდილებაც და გამოწვევებიც და ამის მიხედვით ცვლილებები შეიტანეს კურიკულუმში. წარმოდგენილია მოსწავლის მიერ შესრულებეული კომპლექსური დავლების ანალიზი და მოდიფიცირებული კურიკულუმი, რაც მიანიშნებს იმას რომ სკოლას აქვს მზაობა რომ დაგეგმოს სასწავლო პროცესი წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმიებიდან არ ჩანს, მაგრამ ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულები არიან შედეგების გაუმჯობესებაზე. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და

განვითარების მეთოდოლოგია, კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია პედაგოგთა წინარე გამოცდილება, რომელსაც ერთმანეთს უზიარებენ. სკოლის მიერ წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმები და კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტი , სადაც დაფიქსირებულია გამოცდილების გაზიარების შესახებ ინფორმაცია. კურუკულუმში შესული კომპლექსური დავალების იდეა წინა სასწავლო წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმეს. ასევე კურუკულუმებში აპირებენ უფრო მრავალფეროვანი რესურსების გათვალისწინებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ სამომავლო ხედვა და მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ წინარე გამოცდილების ანალიზი. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ეკო კლუბის გეგმა;
- პროექტი გარემოს დაცვა;
- საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი ;
- მოდიფიცირებული კურიკულუმი;
- საბუნებისმეტყველო კათედრის სამუშაო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სოციალური პროექტი;
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის ამსახველი დოკუმენტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. უცხო ენაში წარმოდგენილი კურიკულუმები, შერჩეული თემები, კომპლექსური ტიპის დავალებები, , განხორციელებული სოციალური პროექტი უკავშირდება ფიქრის, ძიების, მსჯელობების და შექმნის პროცესს, რაც ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა ხელი შეუწყოს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას და ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში (მე-8 კლასში) შემოთავაზებულია კომპლექსური დავალებები, რაც მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის პირობას ქმნის. მე-7-მე-9 კლასებში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები (მომავალი სასწავლო წლის გეგმის დამტკიცებამდე გეგმავენ დამატებას), მაგრამ საინტერესო კონტექსტმაგალითები და მრავალფეროვანი რესურსი მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას ქმნის. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პოზიტიურ საკლასო კლიმატს ქმნიან საინტერესო აქტივობებითა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მათი ინიციატივების წახალისებით.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის წარმოდგენილი დოკუმენტები არ იძლევა იმის საშუალებას რომ ვივარაუდოთ არის თუ არა სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის საშუალება. კათედრა აპირებს გაითვალისწინოს მოსწავლეების აზრი, მხარი დაუჭიროს მოსწავლეების ინიციატივებს და მათ განხორციელებას. მაგრამ რა ფორმით არ არის დაკონკრეტებული.

საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების ფარგლებში, წარმოდგენილი კურიკულუმის ნიმუშები, რომლებიც ისტორიასა და მოქალაქეობაში სრული ფორმით არ არის წარმოდგენილი და დასრულებულ ფორმას სექტემბრამდე მიიღებს, მკაფიო წარმოდგენას ვერ გვიქმნის, რომ აღნიშნულ ინდიკატორს ზუსტი პასუხი გაეცეს. აღნიშნულ საგნებში წარმოდგენილ კურიკულუმის ნიმუშებში გაწერილია ძირითადი საგნობრივი საკითხები, თუმცა თითქმის არ გვაქვს კომპლექსური დავალებები და ძირითადი კონტექსტ მაგალითები, რომლებზე დაკვირვებაც, მოგვცემდა იმის საშუალებას განგვესაზღვრა, იძლევა თუ არა აღნიშნული დოკუმენტი, მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის კარგ შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს პედაგოგმა განაცხადა, რომ ის აქტიურად ანხორციელებს კომპლექსურ დავალებებს, თუმცა მისი შედეგებისა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის შესახებ მკაფიო წარმოედგენა ვერ შეგვიქმნა. რაც შეეხება გეოგრაფიას, საბაზო საფეხურზე, აღნიშნული საგნის ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის ნიმუშებში გაწერილია ყველა კომპონენტი და მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის თუ როგორ მოხდება მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითებისა და კომპლექსური დავალებების დამუშავების ფარგლებში.

კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მეტწილად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.სკოლა იაზრებს რა საკითხის მნიშვნელობას და გეგმავს ახალი სსწავლო წლიდან კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროექტები იყოს მორგებული მოსწავლეზე, მის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობაზე.

ესთეტიკის მიმართულებით სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, კონსტრუქტივისტული მიდგომებით, რესურსებით, და სტრატეგიებით. ეს ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში და კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. ინტერვიუს დროს აღნიშნულ იქნა, რომ მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლები წლის განმავლობაში რამდენჯერმე გეგმავს და ახორციელებს სასკოლო ღონისძიებებს,რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას , ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და იზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.

ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

2. მოცემული დოკუმენტებიდან გამომდინარე, საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას (ჩანს ორივე საგნის კურიკულუმის ჩარჩოში), მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას.კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება.

წარმოდგენილი არის კურიკულუმები, რომლებშიც ასახულია კომპლექსური ტიპის დავალებები, შესაბამისი თემატური ბლოკები,რომლებიც თავისი შინაარსით დაფუძნებულია წინარე ცოდნაზე და ახდენს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. შესაბამისად სკოლას აქვს გამოცდილება გამოიყენოს კონსტრუქტივისტული მიდგომები სასწავლო პროცესში.

სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრონციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. მასწავლებლები ითვალისწინებენ, რომ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

სხვა სურათს იძლევა აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის კურიკულუმები, მაგალითად, ისტორიისა და მოქალაქეობის ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებში, ის კონკრეტული გრაფა, რომელიც ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და წინარე ცოდნის, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებას ემსახურება, ჯერ შევსებული არ არის. თუმცა სკოლის თვითშეფასებაში, წარმოდგენილია ის გზა, როგორ აპირებს სკოლა ამ ინდიკატორს მიუსადაგოს სასწავლო პროცესი. მათი გეგმით, კომპლექსურიდან - კომპლექსურამდე, უწყვეტი სვლა, ამ საკითხ მოაგვარებს. რაც შეეხება საგან გეოგრაფიას, შემოთავაზებულ კურიკულუმის ნიმუშებში შევსებულია შესაბამისი გრაფა, რომელიც გვთავაზობს მაგალითებს შედარებისათვის, აღნიშნული კომპონენტის გააქტიურება კარგ შესაძლებლობას შექმნის სასწავლო პროცესში წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის. **ექსპერტთა შეფასებით, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.**

3. კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებები და მასწავლებელთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე,სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ეს პროცესი გახდეს უწყვეტი, ისეთი კომპლექსურ დავალებები და სასკოლო პროექტები შეირჩეს, რომლებიც სწავლის სწავლაზე იქნება ორიენტირებული, სადაც მოსწავლეები თვითონ იქნებიან შემოქმედები და მოახდენენ საკუთარი ცოდნის კონსტრუირებას, მასწავლებელი კი გაუწევს ფასილიტატორობას. რაც ინტერვიუდანაც და მეთოდოლოგიაშიც ჩანს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოსწავლეს შეუძლია მეტაკოგნიტური უნარების გამომუშავება, რაც სამომავლოდ გაზრდის მოსწავლეთა თვითშეფასებას.

საბაზო საფეხურზე უცხო ენის კურიკულუმებში მოსწავლისთვის შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რამ შეუშლა ხელი და რატომ? რას გააკეთებს სხვანაირად შემდეგში , ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გაცნობირებაზე.

ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესში აქტიურად რთავენ მოსწავლეს, რაც მეტაკოგნიციის განვითარების საფუძველს ქმნის. წახალისებულია შესრულებულ სამუშაოზე მოსწავლეების რეფლექსია, რაც ასევე სწავლის სწავლას უზრუნველყოფს. მე-8 კლასში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები (სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში) მეტაკოგნიტური სტრატეგიების დაუფლების საშუალებას იძლევა.

ასევე საგულისხმოა,სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს (მოძრავი თამაშები, სასკოლო ფესტი4. ინტერვიუდან და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული);რაც აისახება საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის გამოყენებას **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.**

4. კურიკულუმებში წარმოდგენილი თემატური ბლოკები,კომპლექსური დავალების იდეები, კონტექსტ- მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის, თავისი ბუნებით ავტომატურად ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. ასევე საბაზო საფეხურზე განხორციელებულია პროექტი, რომლის ფარგლებში განხორციელდა პრობლემაზე დაფუძნებული დავალებების და აქტივობები, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. შესაბამისად, შეგვიძლია დასკვნის გაკეთება რომ სკოლას აქვს მზაობა და გამოცდილება წარმართოს სასწავლო პროცესი , რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები მათ ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურების საშუალებას აძლევს. არა მხოლოდ ფაქტობრივ მასალას ეცნობიან და ამუშავებენ, არამედ მიღებული ცოდნის ინსტრუმენტად გამოყენება უწევთ სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად. მე-8 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ამის პირობას ქმნის.

ცოდნის კონსტრუირებისთვის მნიშვნელოვანია თემატურად სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი. ფიზიკური აღზრდის კურიკულუმებში არ არის მოცენული ინფორმაცია იმ აქტივობებზე, სადაც გამოჩნდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). იმისათვის რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა კათედრამ მასში ჩააშენოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი

ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას. კათედრას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები, არაფორმალური აქტივობები იმგვარად, რომ ნაცნობ კონტექსტში მოხდეს ახალი ინფორმაციის მიწოდება, ნაცნობი თემატიკის ირგვლივ ახალი ცოდნის კონსტრუირება.

კურიკულუმის ჩარჩოსა და პედაგოგთა პირადი ინტერვიუს უკუკავშირის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
თუმცა არცერთი საგნის პროგრამა არ მოიცავდა დანართებს, რომლებზე დაყრდნობითაც მოხდებოდა გაანალიზება, რამდენად წარიმართებოდა პროცესი ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**
დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს *(01/09/2023-17/09/2023)*, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**
ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს საგნობრივი პროგრამის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.

5. ინტერვიუდან და თვითშეფასების დოკუმენტებიდან ჩანს რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავალებები და სხვადასხვა სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას. იგეგმება სამომავლოდ იმ უნარების განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად საჭიროა გამოწვევებთან გამკლავებისას და პროდუქტის შექმნისას. ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნისთვის.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მე-8 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ცოდნათა ორგანიზების შესაძლებლობას ქმნის. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს სთავაზობენ პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ დავალებებს, გამოწვევასთან გამკლავება კი ცოდნათა ინსტრუმენტალიზაციის, ცოდნათა ორგანიზების აუცილებლობას განაპირობებს.

სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. კურიკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. მართალია, კურიკულუმებში არ არის გაწერილი მომავალი სასწავლო წლისთვის ინტეგრირებული დავალებები, მაგრამ ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ამ ინდიკატორის სრულფასოვანი შეფასების საშუალებას არ იძლევა საგან ისტორიისა და მოქალაქეობის ფარგლებში. შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კი ხელი ეწყობა კომპლექსური დავალებების საშუალებით, შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. თვითშეფასების დოკუმენტში, სკოლის წარმოამდგენლები საუბრობენ, რომ მათ მიერ განხორციელებული აქტივობები ამ თვალსაზრისით ნაკლებად შედეგიანი აღმოჩნდა და მომავალი სასწავლო წლისათვის შექმნილი კურიკულუმები მეტად ეფექტური იქნება მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს *(01/09/2023-17/09/2023)*, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს საგნობრივი პროგრამის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი პროგრამები;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის ჩარჩოებში და ინტერვიურებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; წარმოდგენილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა დაგეგმოს და განახორციელოს, კომპლექსური დავალებები. ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სამივე კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებებია მიჩნეული მიზნობრივ ორიენტირებად. შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებები განიხილება მე-8 კლასში. კომპლექსურ

დავალებათა დანართები არა აქვთ წარმოდგენილი, მაგრამ თემატური გეგმებიდან აქვთ შერჩეული კომპლექსური დავალებების პირობები, რაც თანდართულ შეფასების კრიტერიუმებს გულისხმობს, ეს კრიტერიუმები კი სამიზნე ცნებათა მკვიდრ წარმოდგენებს მიემართება. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქტიურად არის ჩართული მოსწავლე შეფასების პროცესში (თვითშეფასება), რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესები გააზრებული უნდა ჰქონდეთ მიზნის თვალსაზრისით. საბაზო საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმოამდგენელ საგნებში შექმნილ კურიკულუმებში, შესაბამის ადგილასაა წარმოდგენილი სამიზნე ცნებები. საგან გეოგრაფიის ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის ნიმუშებში, სამიზნე ცნებები სწორადაა გაწერილი და ძირითად საკითხებთან შესაბამისობაც მკაფიოა. რაც შეეხება საგან ისტორიასა და მოქალაქეების ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებს, კურიკულუმების ბოლომდე შევსებისას, პედაგოგებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მნიშვნელოვანია თითოეული სავალდებულო სასწავლო თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს. შემოთავაზებულ ნიმუშებში, შესაბამის გრაფაში გაწერილია სამიზნე ცნებების არასრული რაოდენობა. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. საბაზო საფეხურზე უცხო ენის კურიკულუმებში წარმოდგენილია გრძელვადიანი მიზანი (შედეგი, სამიზნე ცნება) შუალედური მიზანი (კომპლექსური ბუნების დავალება) და შესრულებული კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასება, რის საფუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.**

2. საგნობრივი კონტექსტი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლის სოციალური უნარების, საკუთარი ემოციების მართვის, ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევების, არგუმენტირებუკლი მსჯელობის და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას. ასევე საბაზო საფეხურზე განხორციელებული სოციალური პროექტი, სადაც მოსწავლეებს უწევთ ინფორმაციის მოძიება, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, გუნდური მუშაობა, ხელს უწყობს სოციალური უნარების გამომუშავებას , და შესაბამისად, მოიაზრებს მისი პიროვნული განვითარების ხელშეწყობასაც. კომპიურეტულ ტექნოლოგიებში სხვადასხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებები, პროექტები და სხვადასხვა აქტივობები ეხმარება მოსწავლის პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაში, ემოციების მართვაში. ასეთი მეთოდებით მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ექსპერტთა შეფასებით, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლეს ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია და სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილად არის გააზრებული,ეს ყოველივე ინტერვიუებით გამოიკვეთა. შეფასების პროცესში აქტიურადაა ჩართული მოსწავლე, ეს კი მოსწავლის მიერ სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასებასა და მის მიერ გააზრებული ნაბიჯების გადადგმას განაპირობებს, რაც მოსწავლის პიროვნულ განვითარებას ემსახურება. მასწავლებელთა მიერ გააზრებულია შეფასების სადიაგნოსტიკო ფუნქცია, ის, რომ შეფასება მოსწავლეს აჩვენებს გზას სწავლის პროცესში და მის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. აგრეთვე, ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხორციელდება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით.

თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი და ემსახურება საგნობრივი საკითხების შემოწმებას. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში ასევე გამოიყენება სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას. სკოლა გამოხატავს მზაობას რომ სამომავლოდ შემუშავდეს რუბრიკები, რომელიც ორიენტირებული იქნება ჰოლისტური შეფასების მხარდაჭერაზე.

ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ ჩანს ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად იყენებს თუ არა სკოლა ისეთ ინსტრუმენტებს როგორიცაა მოსწავლისა და მასწავლებლის პორტფოლიო, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი , დიაგნოსტიკური შეფასება.

სკოლას არ აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების არც სხვა საგნებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე მასწავლებლები იყენებენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის

უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს *(01/09/2023-17/09/2023)*, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს შეფასების სისტემის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.

4. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა საშუალებას, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი-რასაც ადასტურებს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, სადაც გამოიკვეთილია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები.

დაწყებით საფეხურზე სკოლას აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენების გამოცდილება. წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს.

თემატური გეგმებიდან აქვთ შერჩეული კომპლექსურები, რომელთა აუცილებელ კომპონენტს შეფასების კრიტერიუმები შეადგენს. მოსწავლეებისთვის თავიდანვე ამ კრიტერიუმების შეთავაზება შეფასების სისტემის სანდოობასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მოსწავლე აქტიურადაა ჩართული კრიტერიუმების შემუშავების, განხილვის პროცესში, რაც შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

განსხვავებით სხვა საგნებისაგან,საზოგადოებრივი მეცნიერებებში არ არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა მკაფიო დასკვნა. გვიწევს ვისარგებლოთ ინტერვიუს დროს პედაგოგთა უკუკავშირით, მათი განცხადებით შეფასების რუბრიკები იქმნება საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და წინასწარ უზიარდება სასკოლო საზოგადოების წევრებს, არის საჯარო და გამჭირვალე, ასევე ემყარება სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს. ასევე სხვა საგნის ფარგლებში წარმოდგენილი ნიმუშებით. სკოლაში არსებობს შეფასების სისტემა, თუმცა მისი მკაფიოობის, სანდოობისა და ობიექტურობის განსაზღვრა, წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით რთულია.

სკოლა გამოხატავს მზაობას რომ სამომავლოდ დახვეწავენ რუბრიკებს , რომლის საფუძველზეც შეფასების სისტემა იქნება უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სანდო. ექსპერტთა შეფასებით, **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**

5. სკოლას გააზრებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობის მნიშნელობა და გამოთქვამს მზაობას დაიგეგმოს ჯგუფი, რომელიც ამ მიმართულებით იმუშავებს აღნიშნულ საკითხზე.
ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ შეფასების რუბრიკების შემუშავება ხდება კათედრაზე ერთობლივად, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, თუმცა ეს სრულიად ვერ ასახავს სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობას. ვერიფიკაციისათვის სკოლა არ იყენებდა მოსწავლის ნამუშევრებს, არ ახდენდა შეფასების განხილვასა და ანალიზს, ასევე არ აფასებდა პორტფოლიოებს .
ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.
დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს *(30/09/2023-25/12/2023)*, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**
ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(30/09/2023-25/12/2023) უზრუნველყოს ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.

6.შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებები განთავსებულია სკოლის onedrive-ზე, ასევე გვხვდება ნაწილობრივ მატერიალური სახით. თუმცა ეს მასალა სრულად ვერ ასახავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებებს. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოების,

პორტფოლიოების შენახვის უზრუნველყოფას 3 წლის ვადით. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნებოდა მტკიცებულებების აღრიცხვის პროცედურა, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და შენახვის ვადად განსაზღვრულია 3 წლიანი პერიოდი .

სკოლა მიმდინარე საკითხს ამუშავებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**
ექსპერტთა რჩევაა, ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებისას მტკიცებულებების შენახვის ვადად გაიწეროს არანაკლებ 3 წელი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები;
- ✓ განმსაზღვრელი, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ✓ თვითშეფასების ფორმა;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სკოლის მისია, სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით კონკრეტული სკოლისათვის შექმნილია საათობრივი ბადე, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა , საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ რეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების გათვალისწინება. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. ხდება სსსმ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება, პროექტებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობა მხარდაჭერილია. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.**

2.საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს, წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა , ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, მოსწავლეები ჩართულები არიან აქტივობების დაგეგმაში. საბაზო საფეხურზე განხორციელებულია სოციალური პროექტი, რომელიც ხელს უწყობს და ახალისებს მოსწავლეებში თვითრეგულირებად ქცევას, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის..კომპლექსური დავალებები კარგად უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, მოსწავლეები ჩართულები არიან აქტივობების დაგეგმაში. საბაზო საფეხურზე განხორციელებულია სოციალური პროექტი, რომელიც ხელს უწყობს და ახალისებს მოსწავლეებში თვითრეგულირებად ქცევას, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლას აქვს მზაობა და გამოცდილება სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს მოსწავლეზე ორიენტირებულად. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.**

3. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლაში ხორციელდება ურთიერდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. სამომავლოდ სკოლა გეგმავს სასკოლო თემის გააქტიურებას და ჩართვას სკოლის განვითარებაში.გეგმავენ, რომ მასწავლებელთა შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის

ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა ,რომელშიც ჩართულია პედაგოგები ყველა საგნობრივი კათედრიდან. წარმართულ ინტერვიუებზე გამოჩნდა ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია კათედრის წევრებს შორის. აღნიშნულ იქნა გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობითი კულტურის შესახებ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.**

4. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში არის დაცული მასწავლებლებისა და მოსწავლეთა უფლებები. შქმნილია პოზიტიური და უსაფრთხო გარემო. მანდატურის სამსახური წარმოადგენს ერთერთ მნიშვნელოვან რგოლს , მოსწავლეთა შინაგანაწესის გაცნობა, ფსიქოლოგებისა და სკოლის ექიმის ჩართულობა, ასევე სადამრიგებლო საათების ჩატარება ზრდის მოსწავლეთა შორის დაცულობისა და უსაფრთხოების შეგრძნების გამომუშავებას .

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დისციპლინების კურიკულუმების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალებები, ასევე სხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობები, ატარებს ისეთ ხასიათს, რომ უზრუნველყოს საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება და მოსწავლეთა ჩართულობის წახალისება.მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს სკოლაში პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას. **ექსპერტთა შეფასებით, უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. სკოლას დაზუსტებული აქვს სასკოლო საზოგადოების ფუნქცია_მოვალეობები, კურიკულუმის განვითარების პროცესში. ასევე დეტალურად არის გამოკვეთილი რომელმა რესურსმა იმუშავა და რა იყო გამოწვევა, რა იყო საინტერესო და გასაუმჯობესებელი.აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივი კათედრები და დირექციის წარმომადგენლები.სკოლის ფარგლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე, სკოლის ინსტიტუციურ განვითარებასა და მოსწავლეთა შედეგებისა და პროგრესის დიაგნოსტირებაზე. აღნიშნული საკითხები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სასკოლო კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. **ექსპერტთა შეფასებით, მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**

2. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და უკუკავშირი. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.
კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში იკითხება , რომ მოხდება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, რადგან ეს ხელს შეუწყობს მათი გამოცდილების, სურვილების, იდეების, დაკვირვების შედეგების, მოსაზრებების გათვალისწინებას, რაც მათ მხარდაჭერასა და დახმარებას მოიაზრებს.სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგი და შეფასების პროცესი დაფუძნებული იყოს კვლევებზე.ეს პროცესი, თავისთავად მიმართულია სასკოლო საზოგადოების წევრთა პროფესიულ განვითარებაზე და შიდა სასკოლო თანამშრომლობის

ხარისხის გაზრდაზე. **ექსპერტთა შეფასებით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.**

3.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების კონკრეტული წარმომადგენლების საჭიროებების დადგენას და მათ დახმარებას. ასევე პედაგოგთა პროფესიული საქმიანობის დროს ხარვეზების გამოვლენასა და იდენტიფიცირებას,მათი აღმოფხვრის მექანიზმების შემუშავებას. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც მოხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, და ეს მოგვცემს საშუალებას გამოვლენილი პრობლემის გადაჭრისა.

სკოლა გეგმავს . მონიტორინგის შედეგების ანალიზისა და დასკვნის საფუძველზე, პრევენციისა და ინტერვენციის საშუალებით დასახოს პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები. ექსპერტთა შეფასებით, **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია მონიტორინგი და შეფასება სამი მიმართულებით. მოცემული ინსტრომენტებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის შეფასებისას ხდება მოსწავლეთა დიაგნოსტირების გზით პროგრესის

გაზომვა. ასევე იგეგმება და მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების და კურიკულუმების შეფასება. **ექსპერტთა შეფასებით, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.**

2. სკოლა გეგმავს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება. ასევე ინტერვიუზე დაყრდნობით, რომელიც მოსწავლის მრავალგვარი შესაძლებლობის შეფასების საშუალებას იძლევა, ასევე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ხდება, სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით.

კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას.საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც განხხორციელდება შესაბამისად. სკოლა სამომავლოდ განახორციელებს შეფასების ისეთ რუბრიკებს, სადაც გათვალისწინებული იქნება, მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინდივიდუალური საჭიროებები. **ექსპერტთა შეფასებით, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.**

3. შეფასებისას, მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხდება კათედრებზე, პარალელურ კლასისა და საგანის მასწავლებლებისაგან, სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რომ შეფასების პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მეთოდები.საზოგადოებრივ მეცნიერებებასა და ესთეტიკაში შეფასების მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები ნაკლებად ჩანს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევე ინტერვიუშიც,თუმცა სკოლა სამომავლოდ გეგმავს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდების დანერგვას, ანკეტირებით, გამოკითხვით. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სკოლას არ ჰქონდა გაწერილი რა ტიპის მეთოდების გამოყენებას გეგმავს. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს*(01/09/2023-17/09/2023)*, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს შეფასების ინსტრუმენტების ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.

4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსებს წვდომასა და სხვა ფაქტორებზე. **ექსპერტთა შეფასებით, შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი დეტალურადაა წარმოადგენილი დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მომხდარიყო კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებისა და სკოლის წარმოამადგენელთა განცხადებით, სკოლა კურიკულუმის განვითარების მიზნით მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.**

2. კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, ასევე თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილია, კურიკულუმში განხორციელებული რევიზიის კონკრეტული მაგალითები. კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. **ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება- (საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო)

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმას თან ახლავს საგნობრივი სასწავლო პროგრამები და შესაბამისი დოკუმენტი კურიკულუმის შემუშავების შესახებ,დოკუმენტში მკაფოდაა ჩამოყალიბებული, კურიკულუმის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების მეთოდოლოგია.ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარების ეტაპები. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქცია_მოვალეობები ეკისრება დირექციასა და პედაგოგებს. მასწავლებელებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. **ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.**
2. სასკოლო საზოგადოების ინტერესები ჩანს კურიკულუმის თემატურ დაგეგმვაში, როგორც კათედრაზე აღნიშნეს გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები. ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ კათედრის თითოეული წევრი უშუალო მონაწილეა კურიკულუმში საერთო ინტერესებისა და ღირებულებების ასახვაში.მაგალითად,მე-10 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმის ჩარჩოში ასახულია, ცნებები/ქვეცნებები, გაწერილია თემატური ბლოკები, კომლექსური დავალების იდეა, კონტექსტ მაგალითები, რომლის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და ინტერესები, სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია თუ როგორ არის გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში.წარმოდგენილ დოკუმენტაციასა

და პირად ინტერვიუზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრ პედაგოგებს, აქვთ ინფორმაცია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავებისა და მისი რევიზიის განხორციელების დროს, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. პედაგოგების თქმით სასწავლო წლის განმავლობაში ხდება მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება სასკოლო კათედრების სხდომებზე, ხოლო კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში, ასევე, აქტიურად არიან ჩართულების სკოლის დირექციის წევრები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს.

სკოლა გეგმავს მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რესურსების მოდიფიცირებას,სსსმ მოსწავლეებისათვის დავალებების მოდიფიცირებას, რაც ასახული იქნება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. **ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.**

3. სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების კონკრეტული წარმოამდგენლების მიერ. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესი ჩამოყალიბებულია კონკრეტულ დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში აღწერილია, როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. დეტალურადაა აღწერილი კურიკულუმის შემუშავებაში, რა როლი და ფუნქცია აქვს მასწავლებელს, კათედრის ხელმძღვანელსა და დირექციის წარმოამადგენლებს.

აგრეთვე,ისინი ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართულობა ამ პროცესში, აქტიური უკუკავშირი მათთან.

სამომავლოდ სკოლა გეგმავს , კურიკულუმის შემუშავების პროცესში უფრო მეტად ჩართოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, გამოიყენებენ ანკეტირებას/გამოკითხვას, ხოლო დაგეგმილი სასკოლო პროექტები მორგებული იქნება კურიულუმის ამოცანებსა და გრძელვადიან მიზნებზე. **ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

4. დოკუმენტ "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიისა" და სკოლის წარმოამადგენლებთან პირადი გასაუბრების საფუძველზე, იკვეთება კონტურები, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წარმოამადგენელი, როგორც დირექცია და პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლეები იზიარებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და ფუნქციას. დოკუმენტი საჯაროა და მასზე თავისუფალი წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმოამდგენლებთან.

კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებზე, სასკოლო საზოგადოებაში , კერძოდ სკოლის onedrive ზე , კათედრისა და მშობლებთან თიმსისა და მესენჯერის ჯგუფებში.

სასკოლო საზოგადოების წევრები ფლობენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას. **ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რაც ცალსახად შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად. კურიკულუმში გაწერილი საგანმანათლებლო აქტივობები შეიძლება ჩაითვალოს როგორც მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაზე ორიენტირებული. მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა მოიაზრებს , რომ გააუმჯობესოს ეს პროცესები, კომპლექსური დავალებები ორიენტირებული იქნება გრძელვადიან სამიზნე ცნებაზე, თემიდან თემაზე, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება, აქცენტი იქნება გადატანილი სწავლის სწავლაზე, დაიგეგმება პროექტები, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა ინტერესები და შემოქმედებითი უნარები. ეს ფაქტორები ჩანს, როგორც მუსიკის, ასევე ხელოვნების კურიკულუმებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. თემები და კომპლექსური დავალებების პირობა ისეა გაწერილი,რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და მის განვითარების საშუალებას.მე-10 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმის ჩარჩოში ასახულია, ცნებები/ქვეცნებები, გაწერილია თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალების იდეა, კონტექსტმაგალითები, რომლებიც

გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. სკოლა გამოხატავს მზაობას რომ ახალი სასწავლო წლიდან ასევე შეიმუშავებენ მე-11, მე-12 კლასის კურიკულუმებს.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებითაც გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კოპლექსური დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის მიღწევისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წელს იგეგმება არსებული კურიკულუმების გადახედვა, ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და კომპლექსური დავალებების შედგენა. სკოლას მიეცა რჩევა, გაამრავალფეროვნოს ელექტრონული რესურსები, რადგანაც საშუალო საფეხურზე ჯანსაღი ცხოვრების თემის ფარგლებში კურიკულუმებში მოცემულია იგივე პრეზენტაციის ლინკი.

საშუალო საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში კი დოკუმენტაციის განხილვამ არაერთგვაროვანი დასკვნის საფუძველი შექმნა. საგან ,,გეოგრაფიის'' 10 კლასში შექმნილი კურიკულუმის ნიმუში აგებულია თეორიული და პრაქტიკული მახასიათებლების სრული დაცვით, თუმცა მასში არ არის გაწერილი კომპლექსური დავალების იდეა. ის ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგვმასა და განვითარებაზე, მასში წარმოდგენილი კომპონენტები საჭირო გრაფებშია მითითებული და იძლევა შემდგომი რევიზიისა და განვითარების კარგ საშუალებას. რაც შეეხება საგან ისტორიასა და მოქალაქეობის ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებს, აქ მეტად საჭიროა ჩარევა მისი დახვეწის მიზნით. ისტორიის კურიკულუმებში თვალშისაცემია უზუსტობები. არასწორადაა მითითებული სასწავლო თემის დასახელებები, 10 და 12 კლასის კურიკულუმის ნიმუშებში. ასევე უზუსტობებია მოქალაქეობის დოკუმენტშიც, რომელშიც არასრულფასოვნადაა შევსებული გრაფები.

საშუალო საფეხურზე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილია ფიზიკის , ქიმიის ,ბიოლოგიის მეათე კლასის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები. სადაც სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხების საშუალებით თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, როგორც გრძელვადიანი მიზანი. განსაზღვრულია ძირითადი საკითხების კასტერები, კონტექტ მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის, აგრეთვე სასწავლო რესურსები კომპლექსური დავალებებისათვის. წარმოდგენილია განხორციელებული სასკოლო პროექტი, „ გარემოს დაცვა“ , რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული და სოციო-ემოციური განვითარებას, ზრდის მოტივაციას და ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტში მოსწავლეთა აქტიური და თანასწორი ჩართულობის საშუალებას იძლევა.

სკოლაში ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს ეკოკლუბი და წრე, რომელშიც გაწევრიანებული არიან საშუალო საფეხურის მოსწავლეები. სკოლის მიერ წარმოადგენილია ეკოკლუბის გეგმა, სადაც ასახულია მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები. შესაბამისად, შემოთავაზებული დავალებები, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუ აჩვენებს, რომ მოსწავლე აღიარებულია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური სუბიექტი, ცოდნის კონსტრუირების პროცესის წარმმართველი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ,ექსპერტების დასკვნით სკოლას აქვს საკმარისი მზაობა , გამოცდილება და ხედვა, წარმატებით დაგეგმოს და განავითაროს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი. ექსპერტთა შეფასებით, **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.**

2.სკოლას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ნაწილობრივ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გათვალისწინებულია კლასების მიხედვით განსაზღვრული, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და ქვესაკითხები. პროექტული ტიპის დავალებები ხელს უწყობს მოსწავლის შემოქმედებითი, სოციალური, თანმშრომლობითი და სხვა უნარების განვითარებას. სკოლა სამომავლოდ გეგმავს კურიკულუმის დაგეგმვის პროცესის დროს სრულად დაფაროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით განხორციელდეს სასკოლო პროექტები, რომელიც მიმართული იქნება გლობალური და ფუნქციური უნარის განვითარებისკენ. მაგალითად,მე-10 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები, ცნებები (ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები) რაც მიანიშნებს იმას, რომ სკოლას აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებების გამოცდილებაზე დაფუძნებული მზაობა. ფიზიკური აღზრდის და სპორტის მიმართულებით კურიკულუმის განხორციელების პროცესში, გაწერილია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვეტარი და სასწავლი ელექტრონული რესურსები, რაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლი გეგმის გრძელვადიან მიზნებზე გასვლის წინაპირობაა.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში სამიზნე ცნებების სახით (მე-10 კლასში დაზუსტებულია ქვეცნებებით) განსაზღვრულია მიზნობრივი ორიენტირები. თემები, კონტექსტმაგალითები (ძირითადი და დამატებითი რესურსები), საგნობრივი საკითხები აჩვენებს მიზნობრივ ნიშნულამდე მისვლის გზებს. კურიკულუმში შემოთავაზებული დავალებები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაძლებლობას ქმნის. განსხვავებული სურათია საზოგადოებრივ მეცნიერებებში,საგან ,,გეოგრაფიაში'' შექმნილი კურიკულუმის ნიმუშში, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგიერტი კომპონენტი სწორადაა შესაბამის გრაფაში განთავსებული, ასევე საჭირო ადგილასაა წარმოდგენილი სამიზნე ცნებებიც და ძირითადი საკითხებიც. რიგ შემთხვევაში გაწერილია სხვა კომპონენტებიც, როგორიცაა ძირითადი კონტექსტმაგალითი, მაგრამ ცარიელია კომპლექსური დავალების იდეის გრაფა. უნდა აღინიშნოს რომ წარმოდგენილი დოკუმენტი სამუშაო ვერსიას წარმოადგენს და მას დასრულებული სახე, მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა მიეცეს. რაც შეეხება საგან ,,ისტორიაში'' შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებს, მე-10 კლასის ფარგლებში შექმნილ ნიმუშში იკვეთება რამდენიმე უზუსტობა. ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილ დოკუმენტებში შევსებულია ყველა გრაფა, თუმცა დარღვეულია შევსებისას გასათვალისწინებელი ტექნიკური და თეორიული დეტალები. არასწორადაა შევსებული, ძირითადი კონტექსტ მაგალითების, კომპლექსური დავალების იდეისა და

სავალდებულო სასწავლო თემის გრაფა. საგან ,,მოქალაქეობაში'' შექმნილ დოკუმენტს, ამ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია რომ სწორად იქნას შევსებული კომპლექსური დავალების იდეისა და კონტექსტმაგალითის გრაფა.სკოლის მიერ ახალი სასწავლო წლისათვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ფიზიაში, ქიმიაში და ბიოლოგიაში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში თითოეული კლასისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რისთვისაც მასწავლებელი არჩევს კონტექსტ-მაგალითებს, კომპლექსური დავალების იდეას /პირობას და შესაბამის რესურსებს, დაგეგმილი პროცესი საინტერესო და მიზანმიმართულია, რაც ასევე იძლევა საშუალებას გააქტიურდეს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარები. მასწავლებლებს აქვსთ გამოცდილება და მზაობა იმისთვი, რომ დაგეგმონ და განახორციელონ პროცესი საინტერესოდ რათა მიზანმიმართული იყოს, მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ კურიკულუმის მთავარი ორიენტირი სკოლისთვის არის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან, საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვს გამოცდილება კომპლექსური დავალებების დაგეგმვა /განხორციების, აგრეთვე, სამომავლო ხედვა და მზაობა კურიკულუმები მიმართოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. **ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მოსწავლის მხარდამჭერ გარემოს ქმნის საინტერესო აქტივობებითა და მოსწავლეებთან პოზიტიური დამოკიდებულებით, ითვალისწინებს მათ ინტერესებსა და თვალსაზრისებს, წაახალისებს მათ ინიციატივებს.

პედაგოგებთან გასაუბრების დროს, მათ დააფიქსირეს თავიანთი მიდგომა აღნიშნული საკითხის მიმართ და განაცხადეს, რომ პედაგოგები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში, შეისწავლიან მოსწავლეთა ინდივიდუალურ ინტერესებსა და მოთხოვნებს და აძლევენ მათ საშუალებას აირჩიონ მათვის საინტერესო საკითხი, ან ,თუნდაც, შემოქმედებითი პროდუქტი.

ინტერვიუდან გამომდინარე, სკოლა მომავალში უზრუნველყობს ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნა და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, მომავალში სასურველია ნათლად აისახოს სასწავლო გეგმებში და მოსწავლეების საჭიროებებისადმი ჩაშენებული იყოს კომპლექსურ დავალებებში, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცეში კურიკულუმი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს მუსიკისა და ხელოვნების საგანშიც.სკოლის მიერ წამოდგენილია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. განხორციელებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ისგ ბიოლოგიაში მეცხრე კლასი და მოდიფიცირებული კურიკულუმი, განხორციებული კომპლექსური დავალების ამსახველი დოკუმენტაცია. მასწავლებლები აქტიურად ქმნიან სასწავლო ადაპტირებულ რესურსებს. დაგეგმილია აქტივობები, განსაზღვრულია მასალის მიწოდების, წარმოდგენის სხვადასხვა ფორმა, ყველა ტიპის მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. გაკვეთილზე ხდება მრავალფეროვანი რესურსის გამოყენება; წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად კათედრას აქვს არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხედვა და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.**

4. სკოლაში მოქმედებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასება მიემართება მოსწავლეთა შედეგების იდენტიფიცირებას, მიღწევების გაუმჯობესებას და ფარავს სწავლა სწავლების გრძელვადიან მიზნებს. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ იყენებენ ზოგადი შეფასების სქემებს, თუმცა ძირითადად კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების სქემებით ხელმძღვანელობენ. სკოლის ნარატივის მიხედვით კომპლექსური დავლებებების შეფასება ხორციელდება სოლო ტაქსონომიის მიხედვით. ქართულ ენასა და ლიტერატურაში განმსაზღვრელი შეფასების შემოთავაზებული რუბრიკები მიემართება ზოგადად გრძელვადიან მიზნებს, მაგრამ კონკრეტულად საგნობრივ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არ წარმოუდგენიათ. რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს შეაფასების კრიტერიუმებს, რაც განმავითარებელი შეფასების რუბრიკას ქმნის. კურიკულუმში აღნიშნული კომპლექსური დავალებების დანართი წარმოადგინეს ერთი თემატური მატრიცის სახით. დანარჩენების დართვას მომავალი წლის სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე გეგმავენ. რაც შეეხება მოსწავლის ჩართვას შეფასების პროცესში, ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ აღინიშნა, რომ აქტიურად რთავენ შეფასების პროცესში მოსწავლეს, მიმართავენ როგორც მოსწავლეთა თვითშეფასებას, ისე ურთიერთშეფასებას. გააზრებულია შეფასების სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა. ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში,ინტერვიუს დროს, გამოჩნდა მასწავლებლების მზაობა მომავალში გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამ ეტაპზე პედაგოგები იყენებენ სიტყვიერ განმავითარებელ შეფასებას, მათ არ აქვს შემუშავებული

განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები ფიზიკურ აღზრდაში. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშავონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რადგან წერილობით კომენტარები დაეხმარებათ მათ თითოეული ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე უფრო სიღრმისეული წარმოდგენის შექმნაში და მისი პროგრესის დაფიქსირებაში. კურიკულუმის ჩარჩოსა და პედაგოგთა პირადი ინტერვიუს უკუკავშირის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით , სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდილოგიის და სასკოლო სასწავო გეგმის პროექტით, საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმით, შეფასების რუბრიკებით განხორციელებული კომპპლექსური დავალების ამსახველიდოკუმენტაციით, საბუნებსმეტყველო კათედრის სამუშაო გეგმით , საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნების კათედრის ოქმის ანგარიშით დგინდება, რომ შეფასება მისაღწევ შედეგებზეა ორიენტირებული და შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსწავლის მიღწევა გრძელვადიან მიზნებთან და საგნის მისაღწევ შედეგებთან მიმართებით ; კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და იგი მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. **ექსპერტთა შეფასებით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.**

5. ესთეტიკის მიმართულებით,როგორც ინტერვიუდან გამოჩნდა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. საშუალოო საფეხურზე უცხო ენაში წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი , რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მე-10 და მე-12 კლასების კურიკულუმები თემატურ დაგეგმვას ემყარება, რაც იმის პირობას იძლევა, რომ ნაცნობ კონტექსტებს აფუძნებენ ახალ ცოდნას, ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მომავალი წლის კურიკულუმის დაგეგმვისას გაითვალისწინეს წარმატებული გამოცდილებაც და გამოწვევებიც და ამის მიხედვით ცვლილებები შეიტანეს კურიკულუმში. ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში,წარმოდგენილი კურიკულუმებიდან არ ჩანს, მაგრამ ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულები არიან შედეგების გაუმჯობესებაზე. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი. ხოლო,საზოგადოებრივ მეცნიერებებში, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია,ამ ინდიკატორის

სრულფასოვანი შეფასების საშუალებას არ იძლევა. რადგან შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კი ხელი ეწყობა კომპლექსური დავალებების საშუალებით, შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. თვითშეფასების დოკუმენტში, სკოლის წარმოამდგენლები საუბრობენ, რომ მათ მიერ განხორციელებული აქტივობები ამ ვალსაზრისით ნაკლებად შედეგიანი აღმოჩნდა და მომავალი სასწავლო წლისათვის შექმნილი კურიკულუმები მეტად ეფექტური იქნება მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია პედაგოგთა წინარე გამოცდილება, რომელსაც ერთმანეთს უზიარებენ. სკოლის მიერ წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმები და კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტი , სადაც დაფიქსირებულია გამოცდილების გაზიარების შესახებ ინფორმაცია. კურუკულუმში შესული კომპლექსური დავალების იდეა წინა სასწავლო წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმეს. ასევე კურუკულუმებში აპირებენ უფრო მრავალფეროვანი რესურსების გათვალისწინებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ სამომავლო ხედვა და მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ წინარე გამოცდილების ანალიზი. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ეკო კლუბის გეგმა;
- პროექტი გარემოს დაცვა;
- საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი;
- მოდიფიცირებული კურიკულუმი;
- საბუნებისმეტყველო კათედრის სამუშაო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სოციალური პროექტი;
- კომპლექსური დავალება;
- შეფასების რუბრიკა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.კურიკულუმის განხორციელება

2.1.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს აღნიშნულ იქნა, რომ მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლები წლის განმავლობაში რამდენჯერმე გეგმავს და ახორციელებს სასკოლო ღონისძიევბებს,რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას , ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და იზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.

სკოლას აქვს გამოცდილება კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობის, რაც მოიაზრებს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. თუმცა ეს სრულად ვერ ასახავს იმ გარემოებას რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

სკოლა იაზრებს რა საკითხის მნიშვნელობას და გეგმავს ახალი სსწავლო წლიდან კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროექტები იყოს მორგებული მოსწავლეზე, მის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობაზე.

ქართულ ენასა და ლიტერატურის კურიკულუმში (მე-10 კლასში) შემოთავაზებულია კომპლექსური დავალებები, რაც მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის პირობას ქმნის. მე-12 კლასში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები (მომავალი სასწავლო წლის გეგმის დამტკიცებამდე გეგმავენ დამატებას), მაგრამ საინტერესო კონტექსტმაგალითები და მრავალფეროვანი რესურსი მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას ქმნის. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პოზიტიურ საკლასო კლიმატს ქმნიან საინტერესო აქტივობებითა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მათი ინიციატივების წახალისებით. საზოგადოებრივ მეცნიერებებში და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით, წარმოდგენილი კურიკულუმის ნიმუშები, რომლებიც სრული ფორმით არ არის წარმოდგენილი და დასრულებულ ფორმას სექტემბრამდე მიიღებს, მკაფიო წარმოდგენას ვერ გვიქმნის, რომ აღნიშნულ ინდიკატორს ზუსტი პასუხი გაეცეს. აღნიშნულ საგნებში წარმოდგენილ კურიკულუმის ნიმუშებში გაწერილია ძირითადი საგნობრივი საკითხები, თუმცა თითქმის არ გვაქვს კომპლექსური დავალებები და ძირითადი კონტექსტ მაგალითები, რომლებზე დაკვირვებაც, მოგვცემდა იმის საშუალებას განგვესაზღვრა, იძლევა თუ არა აღნიშნული დოკუმენტი, მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის კარგ შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს პედაგოგმა განაცხადა, რომ ის აქტიურად ანხორციელებს კომპლექსურ დავალებებს, თუმცა მისი შედეგებისა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის შესახებ მკაფიო წარმოდგენა ვერ შეგვიქმნა. რჩევა : სკოლამ სასწავლო პროცესში გამოიყენოს პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები, სასკოლო პროექტები, საკლუბო აქტივობები, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობით სწავლას და მის აქტიურ ჩართულობას. .სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში მეათე კლასი, აგრეთვე სასკოლო პროექტი, სოციალური პროექტი, ეკო კლუბის სამოქმდო გეგმა, საიდანაც იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში შესაძლებლობა არის განხორციელდეს ისეთი აქტივობები , სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. მოსწავლე ქმნის კომპლექსური დავალების პროდუქტს. მოსწავლის მოტივაციისა და სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის თანამშრომლობით სწავლის ფორმა ჯგუფური და წყვილებში მუშაობა აქვს შერჩეული, სადაც მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს მუდმივად ინტერქციაში იყოს თანატოლთან, გასცეს და მიიღოს დაუყოვნებლივი უკუკავშირი, გაიზიაროს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე. სასკოლო პროექტი კი ქმნის შესაძლებლობას თანამშრომლობითი გზით, ყველა ასაკის და

საჭიროების მოსწავლე აქტიურად და თანაბრად იყოს ჩართული სხვადასხვა აქტივობებში, შერჩეული აქტივობები კი ქმნის მოსწავლის მაღალი ჩართულობის წინაპირობას, იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, იქმნება პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, რაც ხელისშემწყობია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის.

ასევე მნიშვნელოვანი და საინტერესოა საბუნებისმეტყველო კათედრის გამოცდილება, კერძოდ, ერთობლივად შემუშავებული სამუშაო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც ექსკურსიების, პროექტებისა და სხვა ღონისძიებებით ასევე იძლევა ღიაობის, მაღალი მიმღებლობის, პრობლემაზე ორიენტირებულობისა და მოსწავლის ინიციატივების წახალისების შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს წარმატებული გამოცდილება და მზაობა მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.**

2. საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას.მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას.კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება.მოცემული კომპლექსური დავალებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება.სკოლას გააზრებული აქვს , რომ კომპლექსურმა დავალებამ მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება უნდა უზრუნველყოს, რისთვისაც მნიშვნელოვანია მისი პირობის ადაპტირება მოსწავლეების ინტერესებთან და შესაძლებლობებთან.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში,საშუალო საფეხურის მე-10 და მე-12 კლასების კურიკულუმში (მე-11 კლასის კურიკულუმს ვერ შექმნიდნენ, რადგან ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოცემას ელოდებოდნენ) წარმოდგენილი თემატური დაგეგმვა, კონტექსტმაგალითები წინარე ცოდნის გათვალისწინების შესაძლებლობას ქმნის. ნაცნობ კონტექსტს ეფუძნება ახალი ცოდნა.

საზოგადოებრივ მეცნიერებებში აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ამ ინდიკატორის შეფასება რთულია. კურიკულუმის ნიმუშებში, ის კონკრეტული გრაფა, რომელიც ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და წინარე ცოდნის, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებას ემსახურება, ჯერ შევსებული არ არის. თუმცა სკოლის თვითშეფასებაში, წარმოდგენილია ის გზა, როგორ აპირებს სკოლა ამ ინდიკატორს მიუსადაგოს სასწავლო პროცესი. მათი გეგმით, კომპლექსურიდან - კომპლექსურამდე, უწყვეტი სვლა, ამ საკითხ მოაგვარებს. **ექსპერტთა შეფასებით, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.**

3. კურიკულუმში მოცემულმა კომპლექსურმა დავალებებმა და მასწავლებელთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე,სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ეს პროცესი გახდეს უწყვეტი, ისეთი კომპლექსურ დავალებები და სასკოლო პროექტები შეირჩეს, რომლებიც სწავლის სწავლაზე იქნება ორიენტირებული, სადაც მოსწავლეები თვითონ იქნებიან შემოქმედები და მოახდენენ საკუთარი ცოდნის კონსტრუირებას, მასწავლებელი კი გაუწევს ფასილიტატორობას.უცხო ენებში,სასწავლო პროცესში გამოიყენება კომპლექსური ტიპის დავალებები, თუმცა წარმოდგენილი მტკიცებულებები სრულად ვერ ასახვს და ვერ ასაბუთებს იმ გარემოებას რომ სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე მახვილდება ყურადღება.რჩევა: სასწავლო პროცესში გამოიყენოს თვითშეფასების, ურთიერთშეფასების რუბრიკები, მოსწავლის პორტფოლიო, რეფლექსია , რომელიც ორიენტირებულია მეტაკოგნიციის განვითარებაზე. .საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში : სამომავლოდ დაგეგმილ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მეათე კლასისი კურიკულუმის ჩარჩოებში, სასკოლო პროექტში ჩანს, რომ პროცესი ისეა დაგეგმილი მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლემ განსაზღვროს დავალების/ შესასრულებელი საქმიანობის ღირებულება, დაგეგმვა- როგორ შეასრულოს დავალება, როგორ მოახდინოს სწავლის პროცესის მონიტორინგი და სწავლის პროცესის დროს თავისი ქცევის სოციო-ემოციური მართვა . წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე; **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.**

4. წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ , რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კურიკულუმის ჩარჩოსა და პედაგოგთა პირადი ინტერვიუს უკუკავშირის მიხედვით გამოიკვეთა, რომ შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. მოსწავლეები არა მხოლოდ ფაქტობრივ მასალას ეცნობიან და ამუშავებენ, არამედ მიღებული ცოდნის ინსტრუმენტად გამოყენება უწევთ სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ამის პირობას ქმნის.

ცოდნის კონსტრუირებისთვის მნიშვნელოვანია თემატურად სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი. თუმცა, ფიზიკური აღზრდის კურიკულუმებში არ არის მოცემული ინფორმაცია იმ აქტივობებზე, სადაც გამოჩნდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). იმისათვის რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა კათედრამ მასში ჩააშენოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე

დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას. ასევე არცერთი საგნის პროგრამა არ მოიცავს დანართებს, რომლებზე დაყრდნობითაც მოხდებოდა გაანალიზება, რამდენად წარიმართებოდა პროცესი ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს *(01/09/2023-17/09/2023)*, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს საგნობრივი პროგრამის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.

5. ინტერვიუდან და თვითშეფასების დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავალებები და სხვადასხვა სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რომელიც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას. ასევე,სამომავლოდ იგეგმება იმ უნარების განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად საჭიროა გამოწვევებთან გამკლავებისას და პროდუქტის შექმნისას, ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნისათვის. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კურიკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით.

სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მართალია, კურიკულუმებში არ არის გაწერილი მომავალი სასწავლო წლისთვის ინტეგრირებული დავალებები, მაგრამ ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ

სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. გამოიკვეთა პრობლემა საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმშიც, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ამ ინდიკატორის სრულფასოვანი შეფასების საშუალებას არ იძლევა. რადგან შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კი ხელი ეწყობა კომპლექსური დავალებების საშუალებით, შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. თვითშეფასების დოკუმენტში, სკოლის წარმოამდგენლები საუბრობენ, რომ მათ მიერ განხორციელებული აქტივობები ამ თვალსაზრისით ნაკლებად შედეგიანი აღმოჩნდა და მომავალი სასწავლო წლისათვის შექმნილი კურიკულუმები მეტად ეფექტური იქნება მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. რადგანაც სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი არ არის სრულყოფილი არცერთ საგნებში, ვერ ხერხდება ანალიზი როგორ ხდება მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს სთავაზობენ პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ დავალებებს, გამოწვევასთან გამკლავება კი ცოდნათა ინსტრუმენტალიზაციის, ცოდნათა ორგანიზების აუცილებლობას განაპირობებს. ექსპერტთა შეფასებით,**აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს *(01/09/2023-17/09/2023)*, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს საგნობრივი პროგრამის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი პროგრამები;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის ჩარჩოებში და ინტერვიურებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;მე-10 და მე-12 კლასების კურიკულუმში სამიზნე ცნებებია მიჩნეული მიზნობრივ ორიენტირებად. შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებები განიხილება მე-10 კლასში. კომპლექსურ დავალებათა დანართები არა აქვთ წარმოდგენილი, მაგრამ თემატური გეგმებიდან აქვთ შერჩეული კომპლექსური დავალებების პირობები, რაც თანდართულ შეფასების კრიტერიუმებს გულისხმობს, ეს კრიტერიუმები კი სამიზნე ცნებათა მკვიდრ წარმოდგენებს მიემართება. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქტიურად არის ჩართული მოსწავლე შეფასების პროცესში (თვითშეფასება), რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესები გააზრებული უნდა ჰქონდეთ მიზნის თვალსაზრისით. ხელოვნებასა და მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნობრივი საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები და სამიზნე

ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს..საშუალო საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმოამდგენელ საგნებში შექმნილ კურიკულუმებში, შესაბამის ადგილასაა წარმოდგენილი სამიზნე ცნებები. საგან გეოგრაფიის ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის ნიმუშში, სამიზნე ცნებები სწორადაა გაწერილი და ძირითად საკითხებთან შესაბამისობაც მკაფიოა. რაც შეეხება საგან ისტორიასა და მოქალაქების ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებს, კურიკულუმების ბოლომდე შევსებისას, პედაგოგებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მნიშვნელოვანია თითოეული სავალდებულო სასწავლო თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს. შემოთავაზებულ ნიმუშებში, შესაბამის გრაფაში გაწერილია სამიზნე ცნებების არასრული რაოდენობა. წარმოდგენილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა დაგეგმოს და განახორციელოს , კომპლექსური დავალებები.სკოლის მიერ წარმოდგენილია მეათე კლასის ფიზიკის, ბიოლოგიის და ქიმიის კურიკულუმის ჩარჩოებში სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, საგნის კონტექსტში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნება/ცნებები. კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები. რომლებიც დაგეგმილი პროცესის ნაწილია, ვინაიდან მკვიდრი წარმოდგენები შემოსაზღვარავს ცნების არეალს, სწორედ მისგან გამომდინარე შეფასების კრიტერიუმები აქვს ჩაშლილი დავალების პირობას, რომელიც კარნახობს მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულება რა მიმართულებით უნდა მოხდეს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში უზრუნველყოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.**

2. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალები, პროექტები და სხვადასხვა აქტივობები ეხმარება მოსწავლის პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაში, ემოციების მართვაში. სასწავლო პროცესში სხვადსხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

ასეთი მეთოდებით მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს.უცხო ენის საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ მე_10 კლასის კურიკულუმში საგნობრივი საკითხები შერჩეულია და მორგებულია მოსწავლეების შესაძლებლობებსა და ინტერესებს, თუმცა ეს სრულად ვერ ასახვს იმ გარემოებას რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლა სამომავლოდ გეგმავს პროექტების განხორციელებას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში პიროვნულ და ფსიქო -ემოციურ განვითარებას.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას გაითვალისწინეს მოსწავლეთა შესაძლებლობები, მათი განვითარების დონე და ამის შესაბამისად გაამარტივეს დავალებები, მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად ითვალისწინებენ

მოსწავლის განვითარების უახლოეს ზონას და რამდენად მიზანშეწონილად მიიჩნევენ რიგ შემთხვევაში საკითხის გართულებას. თუმცა აღნიშნავენ, რომ სთავაზობენ დავალებებს, რომლებშიც გამოწვევებთან გამკლავება უწევთ მოსწავლეებს, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. ამას ადასტურებს მე-10 კლასის კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები. სკოლაში სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები სპორტული თემატიკაზე შექმნილი ფილმები .კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვსდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორცმენების მიღწევებს, აგრეთვე მოსწავლეების მიერ შექმნილი ბუკლეტები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას

საშუალო საფეხურზე, საზოგადოებრივ მეცნიერებებში გაერთიანებულ საგნებში შექმნილი დოკუმენტები, არ იძლევა მკაფიო დასკვნის საშუალებას, თუ რამდენად ემსახურება საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ექსპერტთა შეფასებით, **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლეს ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია და სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილად არის გააზრებული,ეს ყოველივე ინტერვიუებით გამოიკვეთა. შეფასების პროცესში აქტიურადაა ჩართული მოსწავლე, ეს კი მოსწავლის მიერ სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასებასა და მის მიერ გააზრებული ნაბიჯების გადადგმას განაპირობებს, რაც მოსწავლის პიროვნულ განვითარებას ემსახურება. მასწავლებელთა მიერ გააზრებულია შეფასების სადიაგნოსტიკო ფუნქცია, ის, რომ შეფასება მოსწავლეს აჩვენებს გზას სწავლის პროცესში და მის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. აგრეთვე, ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხორციელდება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით.

თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი და ემსახურება საგნობრივი საკითხების შემოწმებას. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში ასევე გამოიყენება სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას. სკოლა გამოხატავს მზაობას რომ სამომავლოდ შემუშავდეს რუბრიკები, რომელიც ორიენტირებული იქნება ჰოლისტური შეფასების მხარდაჭერაზე.

ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ ჩანს ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად იყენებს თუ არა სკოლა ისეთ ინსტრუმენტებს როგორიცაა მოსწავლისა და მასწავლებლის პორტფოლიო, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი , დიაგნოსტიკური შეფასება.

სკოლას არ აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების არც სხვა საგნებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე მასწავლებლები იყენებენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია

მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს *(01/09/2023-17/09/2023)*, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს შეფასების სისტემის ინდიკატორის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.

4. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა საშუალებას, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი-რასაც ადასტურებს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, სადაც გამოიკვეთილია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები.

დაწყებით საფეხურზე სკოლას აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენების გამოცდილება. წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს.

თემატური გეგმებიდან აქვთ შერჩეული კომპლექსურები, რომელთა აუცილებელ კომპონენტს შეფასების კრიტერიუმები შეადგენს. მოსწავლეებისთვის თავიდანვე ამ კრიტერიუმების შეთავაზება შეფასების სისტემის სანდოობასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მოსწავლე აქტიურადაა ჩართული კრიტერიუმების შემუშავების, განხილვის პროცესში, რაც შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

განსხვავებით სხვა საგნებისაგან,საზოგადოებრივი მეცნიერებებში არ არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა მკაფიო დასკვნა. გვიწევს ვისარგებლოთ ინტერვიუს დროს პედაგოგთა უკუკავშირით, მათი განცხადებით შეფასების რუბრიკები იქმნება საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და წინასწარ უზიარდება სასკოლო

საზოგადოების წევრებს, არის საჯარო და გამჭირვალე, ასევე ემყარება სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს. ასევე სხვა საგნის ფარგლებში წარმოდგენილი ნიმუშებით. სკოლაში არსებობს შეფასების სისტემა, თუმცა მისი მკაფიოობის, სანდოობისა და ობიექტურობის განსაზღვრა, წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით რთულია.
სკოლა გამოხატავს მზაობას რომ სამომავლოდ დახვეწავენ რუბრიკებს , რომლის საფუძველზეც შეფასების სისტემა იქნება უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სანდო. ექსპერტთა შეფასებით, **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**

5. სკოლას გააზრებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობის მნიშნელობა და გამოთქვამს მზაობას დაიგეგმოს ჯგუფი, რომელიც ამ მიმართულებით იმუშავებს აღნიშნულ საკითხზე.
ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ შეფასების რუბრიკების შემუშავება ხდება კათედრაზე ერთობლივად, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, თუმცა ეს სრულიად ვერ ასახავს სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობას. ვერიფიკაციისათვის სკოლა არ იყენებდა მოსწავლის ნამუშევრებს, არ ახდენდა შეფასების განხილვასა და ანალიზს, ასევე არ აფასებდა პორტფოლიოებს .
ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.
დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს *(30/09/2023-25/12/2023)*, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**
ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(30/09/2023-25/12/2023) უზრუნველყოს ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.

6.შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებები განთავსებულია სკოლის onedrive-ზე, ასევე გვხვდება ნაწილობრივ მატერიალური სახით. თუმცა ეს მასალა სრულად ვერ ასახავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებებს. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოების, პორტფოლიოების შენახვის უზრუნველყოფას 3 წლის ვადით. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნებოდა მტკიცებულებების აღრიცხვის პროცედურა, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და შენახვის ვადად განსაზღვრულია 3 წლიანი პერიოდი .

სკოლა მიმდინარე საკითხს ამუშავებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით. **ექსპერტთა შეფასებით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

ექსპერტთა რჩევაა, ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებისას მტკიცებულებების შენახვის ვადად გაიწეროს არანაკლებ 3 წელი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები;
- ✓ განმსაზღვრელი, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ✓ თვითშეფასების ფორმა;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სკოლის მისია, სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით კონკრეტული სკოლისათვის შექმნილია საათობრივი ბადე, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა , საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ რეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების გათვალისწინება. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. ხდება სსსმ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება, პროექტებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობა მხარდაჭერილია. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.**

2. კურიკულუმის ჩარჩოში და მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკითხება, რომ მასწავლებლის მიერ დაგეგმილ პროცესში აქცენტი გაკეთებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებზე. ინტერვიუდან ჩანდა მასწავლებლის მთავარი ორიენტირი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას არის მოსწავლე. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს,.წარმოდგენილია ინდივიდულური საჭიროების გეგმა, თუმცა ეს სრულად ვერ ასახვს იმ გარემოებას რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო. სკოლა გამოხატავს მზაობას და ახალი სასწავლო წლისთვის გეგმავს გეგმავს ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებას. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.**

3. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლაში ხორციელდება ურთიერდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. სამომავლოდ სკოლა გეგმავს სასკოლო თემის გააქტიურებას და ჩართვას სკოლის განვითარებაში.გეგმავენ, რომ მასწავლებელთა შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა ,რომელშიც ჩართულია პედაგოგები ყველა საგნობრივი კათედრიდან.
წარმართულ ინტერვიუებზე გამოჩნდა ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია კათედრის წევრებს შორის. აღნიშნულ იქნა გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობითი კულტურის შესახებ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.**

4. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ დაცულია მოსწავლეთა და მასწავლებელთა უფლებები და შექმნილია პოზიტიური და უსაფრთხო გარემო სკოლაში. **ექსპერტთა შეფასებით, უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან;
- საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. სკოლასდაზუსტებული აქვს სასკოლო საზოგადოების ფუნქცია_მოვალეობები, კურიკულუმის განვითარების პროცესში. ასევე დეტალურად არის გამოკვეთილი რომელმა რესურსმა იმუშავა და რა იყო გამოწვევა, რა იყო საინტერესო და გასაუმჯობესებელი.აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივი კათედრები და დირექციის წარმომადგენლები.სკოლის ფარგლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე, სკოლის ინსტიტუციურ განვითარებასა და მოსწავლეთა შედეგებისა და პროგრესის დიაგნოსტირებაზე. აღნიშნული საკითხები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სასკოლო კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. **ექსპერტთა შეფასებით, მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**

2. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და უკუკავშირი. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში იკითხება , რომ მოხდება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, რადგან ეს ხელს შეუწყობს მათი გამოცდილების, სურვილების, იდეების, დაკვირვების შედეგების, მოსაზრებების გათვალისწინებას, რაც მათ მხარდაჭერასა და დახმარებას მოიაზრებს.სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგი და შეფასების პროცესი დაფუძნებული იყოს კვლევებზე.ეს პროცესი, თავისთავად მიმართულია სასკოლო საზოგადოების წევრთა პროფესიულ განვითარებაზე და შიდა სასკოლო თანამშრომლობის ხარისხის გაზრდაზე. **ექსპერტთა შეფასებით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.**

3.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების კონკრეტული წარმომადგენლების საჭიროებების დადგენას და მათ დახმარებას. ასევე პედაგოგთა პროფესიული საქმიანობის დროს ხარვეზების გამოვლენასა და იდენტიფიცირებას,მათი აღმოფხვრის მექანიზმების შემუშავებას. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც მოხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, და ეს მოგვცემს საშუალებას გამოვლენილი პრობლემის გადაჭრისა.

სკოლა გეგმავს . მონიტორინგის შედეგების ანალიზისა და დასკვნის საფუძველზე, პრევენციისა და ინტერვენციის საშუალებით დასახოს პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები. ექსპერტთა შეფასებით, **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდლოგიით განსაზღვრულია მონიტორინგი და შეფასება სამი მიმართულებით. მოცემული ინსტრომენტებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის შეფასებისას ხდება მოსწავლეთა დიაგნოსტირების გზით პროგრესის გაზომვა. ასევე იგეგმება და მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების და კურიკულუმების შეფასება. **ექსპერტთა შეფასებით, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.**
2. სკოლა გეგმავს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება. ასევე ინტერვიუზე დაყრდნობით, რომელიც მოსწავლის მრავალგვარი შესაძლებლობის შეფასების საშუალებას იძლევა, ასევე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ხდება, სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას.საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც განხხორციელდება შესაბამისად. სკოლა სამომავლოდ

განახორციელებს შეფასების ისეთ რუბრიკებს, სადაც გათვალისწინებული იქნება, მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინდივიდუალური საჭიროებები. **ექსპერტთა შეფასებით, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.**

3. შეფასებისას, მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხდება კათედრებზე, პარალელურ კლასისა და საგანის მასწავლებლებისაგან, სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რომ შეფასების პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მეთოდები.საზოგადოებრივ მეცნიერებებასა და ესთეტიკაში შეფასების მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები ნაკლებად ჩანს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევე ინტერვიუშიც,თუმცა სკოლა სამომავლოდ გეგმავს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდების დანერგვას, ანკეტირებით, გამოკითხვით. თუმცა სკოლას არ ჰქონდა გაწერილი რა ტიპის მეთოდების გამოყენებას გეგმავდა. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**
დაწესებულებამ 2023 წლის 11 აგვისტოს #986950 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 12 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს *(01/09/2023-17/09/2023)*, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**
ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(01/09/2023-17/09/2023) უზრუნველყოს შეფასების ინსტრუმენტების ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავება.

4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსებს წვდომასა და სხვა ფაქტორებზე. **ექსპერტთა შეფასებით, შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია.;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი დეტალურადაა წარმოადგენილი დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მომხდარიყო კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებისა და სკოლის წარმოამადგენელთა განცხადებით, სკოლა კურიკულუმის განვითარების მიზნით მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.**

2. კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, ასევე თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილია, კურიკულუმში განხორციელებული რევიზიის კონკრეტული მაგალითები. კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. **ექსპერტთა შეფასებით, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ვიზიტის დღის წესრიგი.

24.08.2023

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: